



1921 წელს

# სალოგაზრდა ვერეული

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფაქსი 30 კვპ.

„არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია“

საპარტველოს რესპუბლიკის კანონი კრმისა და მასობრივი ინფორმაციის

სხვა საშუალებათა შესახებ (მუხლი 6).

## ჩვენო მკითხველბო

ამ ცოტა ხნის წინათ, 14 სექტემბერს, თქვენი და ჩვენი საერთო მეცადინეობითა და მოწადინებით აღდგენილ „ახალგაზრდა ივერიელში“ ასე მოგმართავდით: „მომავალში რომ დაზღვეული ვიყოთ ჩვენც და თქვენც მსგავსი „სიურპრიზებისაგან“ (ჩვენი გაზეთის მოულოდნელი და სრულიად უსაფუძვლო დასურვა გვქონდა მხედველობაში), რედაქციის კოლექტივის გადაწყვეტილებაა, დააფუძნოს „ახალგაზრდა ივერიელი“, როგორც სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ახალგაზრდული გაზეთი“. და მას შემდეგ ჩვენ, კვლავ თქვენი დიდი დახმარებისა და მხარდაჭერის იმედით, ცდა არ დაგვიკლია ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად...

მაგრამ „სიურპრიზები“, თურმე, წინ გვქონდა: ჯერ იყო და რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში თავაზიანად, მაგრამ სრულიად დაუსაბუთებლად გადავიდეს „ახალგაზრდა ივერიელის“, როგორც დამოუკიდებელი გაზეთის, რეგისტრაცია. შემდეგ კი... გასულ ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, პროგრამა „მოამბემ“ გვაუწყა, რომ ოფიციალურად ესოდენ შერისხული „ახალგაზრდა ივერიელი“, არცმეტი არც ნაკლები, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის (!) ორგანო გამხდარა.

ამ ახალი სიურპრიზით გაოგნებულმა რედაქციის კოლექტივმა დაუყოვნებლივ მოითხოვა მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა. შეხვედრაზე თანხმობა მაშინვე მივიღეთ, თუმცა ჩვენგან მხოლოდ გაზეთის რედაქტორი ბატონი მერაბ ბალარჯიშვილი მიიწვიეს, რათა თავაზიანად ეუწყებინათ, რომ... იგი ფაქტობრივად უკვე განთავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან (!!). მიზეზი ერთი დაახსნელეს — გაზეთი ჩვენი (მინისტრთა კაბინეტისა) და კადრებითაც ჩვენვე უნდა დავაკომპლექტოთ. რკინისებური ლოგიკაა, ვერაფერს იტყვი...

მაგრამ სათქმელი მაინც დავგრჩა: ძვირფასო მკითხველებო! მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ შემოთ აღნიშნული ფაქტი სხვა არაფერია, თუ არა გაზეთის კოლექტივის ფაქტობრივად დაშლის და, ამდენად „ახალგაზრდა ივერიელის“ ხელახლა (ოღონდ ამჯერად სხვა გზითა და ხერხებით) გაუქმების დასაწყისი. აქვე ხაზს ვუსვამთ, რომ ბატონი მერაბ ბალარჯიშვილი არასოდეს ყოფილა „ახალგაზრდა ივერიელის“ ერთპიროვნული გამგებელი, ხოლო ჩვენ ყველა დანარჩენი — მისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი. ის, რაც დღემდე კეთდებოდა და ქვეყნდებოდა „ახალგაზრდა ივერიელში“ მისი რედაქტორისა და კოლექტივის ძირითადი ბირთვის საერთო ფიქრის, განსჯისა და გადაწყვეტილების ნაყოფი იყო. ჩვენ ყოველთვის ვიყავით და დავრჩებით თანამოაზრებლად, თანამშრომლებლად, და თუნდაც თანამშრომლებლად — ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით.

ამიტომ, მივმართავთ ჩვენს მკითხველს, მოგმართავთ თქვენ, ვინც გულდასმით მოგვეყვებოდით ბოლო წლებში (მხედველობაში გვაქვს 1989 წლის აპრილიდან დღემდე), ერთგულად გვქომაგობდით ჩვენც და ეროვნულ მოძრაობასაც. გვინდა, პირდაპირ გითხრათ, გამორიცხებული არ არის, რომ დღეს თქვენს ხელთ იყოს თქვენთვის ნაცნობი კოლექტივის მიერ შექმნილი გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ ბოლო ნომერი.

თუ ასე გაგრძელდა, გასაგებია რა იქნება ხვალ. ამიტომ ვიტოვებთ უფლებას, დროებით გვერდზე გადავდოთ კალამი და დაგეშვიდობოთ, უფრო სწორად, გითხრათ — ნახვამდის...

ჩვენ დავბრუნდებით!...  
გულნარა ბაშარული, ნუკრი ბერიძე, მარინა დონაძე, გოჩა კავილაძე, ნინო კახანაძე-რაძე, ნინო კლარჯიანი, რუსუდან ლაზარია, გვანჯი მანია, კობე ტაბიაძე, ზია ტახაშვილი, მანა ზალბანიძე.

## გალაკტიონი



—100

თუმცა გალაკტიონის ლექსს პრაქტიკულად გადაუტყუხია ხალხმრავალ აუდიტორიასათვის, მაგრამ გალაკტიონი არასოდეს ყოფილა მასების პოეტი, ისეთი პოეტი, რომლის სტრიქონებს მაღალი ტრიბუნებიდან გადმოაძახებდნენ ხმა-მაღალი ორატორები. გალაკტიონი უფაქტურად, კამერული ლირიკოსია, „მწვენიერების ლექსით მქებელი“, მის პოეზიას ჯგუფურად ვერ მიე-ახლები, მარტო უნდა მიხვიდე, გულწრფელი და გაწმენდის, სულიერი ამაღლების მოსურნე. ალბათ ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის, რაც ერთი შეხედვით საწყენად მოგეჩვენება — გასულ კვირას, 17 ნოემბერს, 100 წლის გალაკტიონის ძეგლთან ასიოდე კაცმა რომ მოიყარა თავი. მოვიდნენ ცნობილი ლიტერატორები, მსახიობები, ახალგაზრდები. მოვიდა რამდენიმე თაობა, იმდენი, რამდენიც შესაძლებელია, რომ არსებობდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

იმპროვიზებული საღამო გახსნა ირაკლი აბაშიძემ. გალაკტიონის შესახებ ისაუბრეს რევაზ მიშველაძემ, აკაკი ვასაძემ, მიხეილ ქუჩინაძემ, დათო ტურაშვილმა, ლაშა თაბუკაშვილმა, ნაირა გელაშვილმა... ჟღერდა გალაკტიონის ლექსის სტრიქონები, გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონები.

იქ არ წარმოთქმულა, მაგრამ უთუოდ ბევრს გაახსენდებოდა 1919 წელს გალაკტიონის მიერ დაწერილი ერთი ლექსის სტრიქონები: „საქართველო, შენ მოვალე ხარ, რომ ნატრობდე ჩემს მეგობრობას უფრო მხურვალედ, ვიდრე მე შენსას“.

გულიკო ბაშარული

„ათი წამი გალაკტიონის ცნობებისა“ — ასე ვუწოდებთ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების ასი წლისთავსადმი მიძღვნილ ფოტოგრაფიასს, რომელსაც ვთავაზობთ მე-5 გვერდზე, მასალები მოგვარდეს საქართველოს კინოფოტოლოგიის დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის თანამშრომლებმა მანა ქუციაშვილმა და კახა ჩხატარაშვილმა.

## ქრონიკა

საპარტველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა:

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი **შაპრო ალექსანდრე** ამ ვიწაბალამ დმანისის რაიონში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად.

თამაზ ვახტანგის ძე ნინუა საქართველოს ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

აკაკი ბრიგოლის ძე რეზიაშვილი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

გივი ბავლას ძე თავზარაშვილი ხარაგაულის რაიონის პრექტის მოვალეობის შემსრულებლად.



# ეკონომიკური გაერთიანების ხელშეწყობა და სპარტოელო

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში დარჩენილი 12 რესპუბლიკიდან ათამდე ხელი მოაწერა ეკონომიკური გაერთიანების ხელშეწყობის აქტს. აქედან ხელი არ აქვს მოწერილი აზერბაიჯანსა და საქართველოს, რატომ დადეს ეს ხელშეკრულება ხელისმომწერმა რესპუბლიკებმა? იქნებ მათ არ ჰყავთ ქართველების საღიზიანო ექსპერტები და ვერ დაინახეს ის, რაც ჩვენ დავინახეთ? ესაა უპირველესი კითხვები აღნიშნულ თემაზე. ვარაუდები იწყება მაშინვე, როგორც კი ვიკითხავთ: რატომაა რუსეთი დაინტერესებული, რომ ყველა რესპუბლიკამ მოაწეროს ხელი? გამოკვეთილად რაიმეს თქმა, სრული ინფორმაციის უქონლობის გამო, შეუძლებელია. ფაქტი ერთია: ყველა თავის სასარგებლოდ ანგარიშობს. როდესაც სულ ცოტა ხნის წინათ „ეკონომიკურ სუვერენიტეტზე“ საუბარი მოდებოდა, მაშინ ყველა ამტკიცებდა, რომ მოცემული რესპუბლიკა აქვეყნებს სხვას. ხელის მოწერა კი იმის დამადასტურებელია, რომ ზემოთ მოყვანილი მტკიცებების მიუხედავად, ყველა დარწმუნებული იყო, რომ სხვისი მეტად ისარგებლებდა, ვიდრე პირიქით. ასეთია ამ საკითხის ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური მომენტი, თუმცა, ჩემი აზრით, მთავარი აქ მაინც პოლიტიკური მომენტი. ასე რომ არ იყო, საერთოდ არ დაინტერესდნენ ამ დოკუმენტზე საქართველოს ხელის მოწერის საკითხი. ვასწავთ, ალბათ, რომ თუ სადმე ეკონომიკური დიფერენციალს საქართველოს რეალური შესაძლებლობების ანგარიშს დამოუკიდებელი ეკონომიკური ფუნქციონირებისათვის, მას იმ წუთას აწყვეტინებდნენ: „ამორალურია ექვსი შეტანა საქართველოს შესაძლებლობაში, საკუთარი თავი თვითონ ირჩინოს“. საკითხავია, დღეს რამ დაბადა ასეთი შიში? შიში დაბადა იმ შესაძლებლობების უცოდინარობამ, რაც საქართველოს გააჩნია; „შომშობის დიქტატურის“ აჩრდილმა; სწრაფი გარდაქმნების ეფლორის გაქრობამ; არასტაბილურმა სიტუაციამ; შიში დაბადა იმან, რომ მთავრობამ უმრავლეს შემთხვევაში დაკარგა კონტროლი მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე რესპუბლიკაში.

მაშ, როგორ უნდა მოიქცეს საქართველო? შიშის გამო მოაწეროს ხელი თუ შიში უსაფუძვლოა და ამიტომ არ მოაწეროს? უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ „შომშობის დიქტატურა“ დიდი ალბათობაა და ეს საშიშროება საფუძვლიანია. ამასთან ხელმოწერაზე თანხმობა შეუძლებელია, თუმცა ცალსახა „არას“ თქმა არაა სწორი.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება, რომელსაც სათაურში ისიც კი არა აქვს გარკვეული თუ ვინც გაერთიანების ხელშეკრულება და რა მქვია ამ გაერთიანებას, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ პოლიტიკური დოკუმენტია და არა ეკონომიკური. ვის აერთიანებს ხელშეკრულება? დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც აქედან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შედიან? („საქართველოს რესპუბლიკა“, 24 ოქტომბერი). რა გამოდის? ე. ი. ხელშეკრულება აერთიანებს ქვეყნებს, რომლებიც ვერ კიდევ არ არიან ცნობილი სუვერენულ სახელმწიფოებად. ამასთან, რა გრძობა აქვს გაერთიანებას? თანამგებობა? ალბათ. მაგრამ ეს ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში იქნება კონფედერაცია. ამის დასტურება მთავარი მიზეზი — ერთიანი ეკონომიკური სივრცის შენარჩუნების (ცდა (თავი II, მუხლი 11). მთელი დოკუმენტი გამსჭვალულია ძველი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთიანი ბაზრის შექმნის იდეით, რომელიც შენარჩუნებული იქნება რუსეთის ჰეგემონია. რუსეთი დარჩება მსოფლიო ზესახელმწიფოდ და გააერთიანებულ პრინციპს კვლავ იქნება ინტერნაციონალიზმი. თორღნადა პროლოგარული ინტერნაციონალიზმი ახლა შეიცვლება საბაზრო კონსოლიდაციის, რომელიც ჩაკეტილ ერთიანი ეკონომიკური სივრცეში ყოველთვის იწყებს ეკონომიკურად ჰეგემონიის გრის ნიშნებს გავბატონებას და სხვა ერებს დაკნინებას. ამასთან წარმოდგენილია დამოუკიდებელი ეკონომიკური სივრცის გარეშე დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემისა და სახელმწიფოს არსებობა.

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ნიშნავს იმას, რომ საქართველო უარს ამბობს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, რაც დიდი ალბათობით შეაჩერებს მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. საქართველოს, რომელსაც არ გააჩნია ეროვნული ეკონომიკური სისტემა, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებში გათქვეფა ემუქრება. ეს არა მარტო ეკონომიკური, არამედ ეროვნული ხსნის თვალსაზრისითაც საშიშია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის არსებული სუსტი ეკონომიკური კავშირები მყარი კი არ გახდება, სულ მოიშლება. საქართველოს სხვადასხვა მხარეს სხვადასხვა ეკონომიკური ორიენტაცია გაუჩნდება. ამასთან, საქართველოს ეკონომიკური ორიენტაცია ძირითადად რუსეთისკენ დარჩება მიმართული. ანუ ვერ განხორციელდება 20-იან წლებში ძალით დარღვეული დასავლეთ ევროპაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა და ვერ შეიქმნება შესაბამისი ეკონომიკური სისტემა. ეკონომიკური გაერთიანების წევრი რომ გავხდეთ, ეს ნიშნავს, სარუსეთოდ გავწიროთ საქართველო. მოვეუბნოთ მას საკუთარი, ურუსეთოდ არსებობის შესაძლებლობა. მტკიცება იმისა, რომ ხელშეკრულება სამი წლის ვადით იდება არგუმენტად

არ გამოდგება. ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის მექანიზმი არაა განსაზღვრული. პრიმიტიული მსჯელობა იმაზე, რომ შომშობის თავიდან აშორების მიზნით მოვაწიროთ ხელი და შემდეგ ჩვენთვის სასარგებლო მომენტში მივატოვოთ კავშირი. თურმე ნუ იტყვიან და მშვიდობიან რუსებმა უნდა დაგვაშინონ და შემდეგ ჩვენი გზით, თურმე, ისე წავალთ, რომ რუსებს სულ არაფერს ვკითხავთ!

ეკონომიკურ კავშირზე ხელის მოწერა ნიშნავს ყოველივე იმის შენარჩუნებასა და მყარ, სამუდამო საფუძვლებზე დაფუძნებას, რაც იყო საბჭოთა სისტემის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს. იგი არ მოგვეცემს რესპუბლიკის შიგნით საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების, შიგარესუბლიკური ბაზის შექმნისა და მსოფლიო მეურნეობაში ადაპტაციის საშუალებას. ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ შეამციროს შომშობის შიში, მაგრამ თვით შომშობის საშიშროებასა და ზომას არ შეცვლის. მოვაწერთ ხელს თუ არ მოვაწერთ, ზამთარი ერთნაირად ცივი და შომშობიან იქნება. თუ მოვაწერთ ხელს, იმაზე მეტს მაინც ვერ მივიღებთ, რასაც ახლა ვღებულობთ, რამეთუ ხელისმომწერის იგივე არიან, ვისთანაც დღეს ვცხოვრობთ და ხელშეკრულებით მათ სიმდიდრეს არაფერი ემატება (აქ მხოლოდ პერსპექტივაში მოგება-წიგებაზეა ლაპარაკი). ისიც არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ვაჭრობა ორმხრივი აქტია და არც რუსებს უჩხრიალებთ დოლარები ხაზინაში. მსოფლიოს ფასები ორივე მხარისათვის ერთნაირად მძალად იქნება. თუ არ მოვაწერთ ხელს, მაშინ სამი თვე გვაქვს ფედერაციის (თავი I, მუხლი 3) და ამ სამ თვეში (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი) „ხეშიც ჩადგება წყალი“. მაგრამ ხელის მოწერის შემთხვევაში საფრთხის გვექმნის. თუ ხელს არ მოვაწერთ, ალბათ, დიდ სინელებზე წავაწყდებით, რომლის გადასაჭრელად საჭირო იქნება სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარება და მთელი ერის მობილიზაცია, რაც ალბათ, შეუძლებელი იქნება დღევანდელ სიტუაციაში.

ამდენად, ჩემი აზრით, დღეს საქართველოს საუკეთესო ვარიანტი თვით ხელშეკრულების დოკუმენტის 57-ე მუხლით განსაზღვრული ე. წ. მეფლავურის სტატუსია. ასეთი სტატუსის შემთხვევაში რესპუბლიკა თავიდან აიშორებს მოულოდნელ ეკონომიკურ სანქციებს და ექნება დრო, სრულად გააერთიანოს თავისი დამოუკიდებლობა აღნიშნულ კავშირთან.

საქართველოს რესპუბლიკამ „ცენტრს“ უნდა შესთავაზოს თავისი ვარიანტი. უპირველესი პირობა უნდა იყოს საქართველოს, როგორც საბჭოთა კავშირიდან გასულ ქვეყნად, ათიარება. ასოცირებული წევრის შინაარსის გარკვევის შემდეგ შეიძლება დადგეს საქართველოს ამ სტატუსით კავშირში შესვლის საკითხი. ისე, ჩემი აზრით, უპრიანი საქართველოს დამკავშირება ეკონომიკურ გაერთიანებასთან, როგორც ერთთან, ფორმულით: 10+1. ამასთან საქართველომ უნდა ეძებოს მისთვის სასარგებლო პარიზოტალური ვარიანტი, ამასთან ასეთი კავშირები ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკასთან უნდა დამყარდეს.

საქევა, რომ აღნიშნული ეკონომიკური გაერთიანება სოციალისტური იყო და გაჩენილი. ამის პირველი სიმბოლო უკვე არსებობს: ხელშეკრულების თანხმად „ეკონომიკური გაერთიანების წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ თავისუფალ ფასწარმოქმნაზე გადასვლის შეთანხმებულ პოლიტიკას“. რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და რუსეთის პარლამენტმა კი II მუხლზე უკვე დაარღვეეს ფასების განთავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით. ეს ხელშეკრულება რუსეთს იმითომ დასჭირდა, რომ უცხოეთისაგან რამენაირად სესხი მიიღოს ცენტრის სახელზე და ვალები შემდეგ რესპუბლიკებზე გადაიწვილოს. ამითაა გამოწვეული ის სისწრაფე, რა სისწრაფითაც აღნიშნულმა დოკუმენტმა შეიცვალა აკადემიკოს შატალინის ჭკუდის მიერ შედგენილი კონვენცია. ამ დოკუმენტის შესახებ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება უკვე გამოვხატე („საქევა და კანონი“, 12. 09. 1991 წ.) დოკუმენტი მხოლოდ შეიცვალა ფორმით, შინაარსით კი იგივე დარჩა. ეს მომენტი ვასათვალისწინებელია და რესპუბლიკის მიზნებიდან გამომდინარე საქართველო ცალკეულ საკითხებზე მოლაპარაკება და მუდმივი შეხვედრები, მაგალითად — გარკვეული დროით ფულად-საემისიო კავშირის შენარჩუნებაზე, იმაზე, თუ როგორ გადაწყდება ვალისა და ოქროს მარაგში მონაწილეობის ვალის საკითხი. განსაკუთრებით ყურადღასს უნდა მივაქციოთ იმ ვალდებულებებისადმი შემგვიდრეობის საკითხი, რომლებიც მიცემული აქვთ ანაბრების მფლობელებს (მუხლი 23). (ცნობილია, რომ დღესაც კი საქართველოში გაცემული შენახველი ბანკის სერტიფიკატების განაღდება შეჩერებულია სხვა რესპუბლიკებში. უნდა, წარმართოს მოლაპარაკება, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ეკონომიკური გაერთიანების წევრი სახელმწიფოები გახდნენ ყველა ანაბრების განაღდებას გარანტები, იმის მიუხედავად, თუ რომელი რესპუბლიკის მოსახლეობაზეა ლაპარაკი — რომელმაც მოაწერა ხელი ხელშეკრულებას თუ არ მოაწერა.

მიხეილ ჯიჯუბი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ამჟამად, შეიძლება უკვე დარწმუნებით ვთქვათ, რომ საქართველოს ჩამოყალიბებული აქვს ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუტები, როგორც უმადლესი — პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს სახით, ასევე ადგილობრივ-პრეფექტურებისა და საკრებულოების სახით (სხვათა შორის: დემოკრატიული ტერმინების თვალსაზრისით თუ რა შეფასებას იმსახურებენ სახელმწიფო მართვის ეს სტრუქტურები), ამერიკიდან საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე მთელი პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ. ყოველი წარმატების გამო ხალხი მათ შეაქებს და ტაშს დაუკრავს, ხოლო ყოველი დიდი შეცდომა, მით უმეტეს დანაშაული, ამავე ხელისუფლებას მოეკითხება, რომელიც ხალხმა აირჩია და ნდობა გამოუცხადა. ამიტომ, უნდა იყოს გასივრცელებული და გაცნობიერებული ის აზრი, რომ დღეს თანამდებობაზე ყოფნა ხელისუფლებით ტყობას კი არ ნიშნავს, არამედ ისტორიული მნიშვნელობის საქმეების კეთებას, რომელაც ჩვენს ეპოქაში მიმდინარე მოვლენებმა დააკისრა ხელისუფლოთ. ამ საქმეებში მთავარია საბჭოთა იმპერია-სთან საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა, რაც პირდაპირ კავშირშია ქვემოთაღნიშნულ დემოკრატიულ საზოგადოებრივი ურთიერთობის შექმნასთან, ამ აზრს შესანიშნავად ადასტურებს პრეზიდენტ რეიგანის მრჩევლისა და აღიარებული პოლიტოლოგის, პროფესორ რიჩარდ პაიფის საქართველოში ყოფნისას ნათქვამი სიტყვები: „დემოკრატია აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. ეს არის დემონსტრაციები ქუჩებში და ქურხანდისებები, რომლებსაც შესაძლოა ოფიციალურად განსხვავებული აზრი ჰქონდეთ. თქვენი პრეზიდენტი უნდა შეეცადოს ამას, წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკელების თვალში შეიძლება გამართლდეს მოსკოვის კოორდინატი“ (გაზეთი „რესპუბლიკა“, 4 ივნისი 1991 წ.).

სამწუხაროა, რომ ჩვენს საშობლო უკვე ავტორიტარულ სახელმწიფოდ თვლიან და, აქედან გამომდინარე, ალბათ, საქამო ხანს არც უნდა გვეჩვენდეს, დემოკრატიული ქვეყნების აქტიური მხარეაქერის იმედი. ეს კი, არა მარტო საზღვარგარეთის პრესის ანალიზით ჩანს, არამედ დასავლეთის სამყაროს ქვეყნების ლიდერთა ჩვენს სახელმწიფოში გადარბილი დამოკიდებულებითაც. ეს მაშინ, როცა უკვე შუა აზიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა ისინი უმადლესი დონის შეხვედრებს უწყობენ და მათთვის ხელსაყრელ ურთიერთობებს ამყარებენ. აქედან გამომდინარე, არც ისე სასარბილო მომავალი გვევლით, თუ ყველაზე უარესი არ მოხდა და კვლავ იმპერიის მსხვერპლი არ გავხდით.

როდესაც საზღვარგარეთელმა კორესპონდენტმა საქართველოს პრეზიდენტს დაუსვა ასეთი შეკითხვა: „თქვენ პირველები იყავით ამ საბჭოთა იმპერიაში ვინც ჩაატარეთ მრავალპარტიული არჩევნები და პირველებმავე ჩაატარეთ ძალიან კარგად საპრეზიდენტო არჩევნები, თუ შეიძლება, კიდევ რაში უნდა იყოთ პირველი ამ იმპერიაში, მან უპასუხა: „დემოკრატიაში, ადამიანის უფლებების პატივისცემაში და დაცვაში და უნდა იყოთ ამ ტოტალიტარული იმპერიაში დემოკრატიული კუნძული, რომელიც მთელ მსოფლიოს აჩვენებს, თუ რა შეუძლია მთელს ერს, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ბრძოლას და ძალისხმევას. ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ“. ამავე დროს პრეზიდენტობის კანდიდატს ბარონ ზეიდს გამსახურდას საარჩევნო პროგრამაში ჩაწერია: „სახელმწიფო უზრუნველყოფს პოლიტიკური ოპოზიციის სამართლებრივ დაცვას“. „საჭიროა მიუხედავად იქნას კანონები სახელმწიფო ენის, მოქალაქეობის, მოქალაქეთა უფლებები გარანტირების, სინდისის თავისუფლების, რელიგიური ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების შესახებ. ეს კანონები უნდა დაეფუძნოს გაერთიანებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციას, პელოსინოს, ვენისა და პარიზის საერთაშორისო შეთანხმებებს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 22 მაისი, 1991 წ.).

ყველა ეს დაპირება და კანონი კარგი და აუცილებელია, მაგრამ როგორ რეიგანს თუ დავუჯერებთ, კანონი შეიძლება კარგი იყოს, მთავარია როგორი სრულდება იგი. ეს მთავარი კი, ორმაგად მთავარია საქართველოში. საქმე იმაშია, რომ თუ ჩვენს სახელმწიფოში ნამდვილად დემოკრატია იქნება, თუ ადამიანის უფლებების სახელმწიფო დაიცავს, ე. ი. იქნება სიტყვის თავისუფლება, რომელიც საინფორმაციო საშუალებათა თავისუფლად გამოყენების გარეშე არ ასრულებს, თუ არ შეიღობება ადამიანის უფლებათა დარღვევებით, მაშინ ოპოზიციას არ ექნება საფუძველი ხელისუფლებას ანტიდემოკრატიულობასა და ავტორიტარიზმში დადოს ბრალი და საპარტიული გამოხატვები მოაწყოს მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. სხვაგვარად ოპოზიცია ამას გააკეთებს იმ რწმენით, რომ საქართველოში ტოტალიტარიზმის გაბატონებას

## პრეზიდენტი, ხელისუფლება და ოპოზიცია

ებრძვის, რასაც დესტაბილიზაცია და მსოფლიოში ავტორიტეტის დაკლება მოსდევს, მაგრამ ამაში დანაშაული იქნება არა იმდენად ოპოზიცია, არამედ უფრო მეტად ის, ვინც იძულებს ოპოზიციას ასეთი ნაბიჯი გადადგას. ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს ერთი ქვემოთაღნიშნული დემოკრატიული მთავრობა არ ნიშნავს მხოლოდ დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას, მთავრობის დემოკრატიულობა მისი პოლიტიკით ფასდება მხოლოდ. თორემ, ცნობილი ფაქტია, რომ პრეტორი და მისი ნაციონალურ-სოციალისტური პარტია გერმანიის ხელისუფლების სათავეში კონონიერი გზით მოვიდა, ხოლო შემდეგ ამ კანონიერად ხელისუფლებამ რა უკანონობა ხელისუფლებას ყველაფერის ცნობილია. ბოლო ხანებში, ბულგარეთისა და რუმინეთის მთავრობები, რომლებიც კანონიერი არჩევნებით იყვნენ მოსულნი ხელისუფლებაში, მათი პოლიტიკით უკმაყოფილო ხალხებმა საპარტიულ სტრატეგიულად ჩამოაშორა. უკანონობა კი ბატონდება იქ. სადაც თავს კარგად ინიღბავს და დაუსჯელად მარაპაშობს. ოპოზიციის განადგურებამ და არ არსებობამ მიიყვანა გერმანიის ფაშისტური მთავრობა და სსრკ-ის ბოლშევიკური მმართველობა კაცობრიობის შემარსუნენ დანაშაულოებამდე. სწორედ ამიტომ ოპოზიციის სიძლიერე, მე მხედველობაში მაქვს ხელისუფლებისადმი კონსტრუქციული ოპოზიცია, აუცილებელი პირობაა ქვეყანაში დემოკრატია, სამართლიანობის, პრაგმატიზმისა და ადამიანის უფლებების რეალურად დაცვისა, რადგან, როცა არის ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები, თავისუფალი პრესა, ტელევიზია, როცა არის ძლიერი ოპოზიციის პარტიები, მათი შიში ვერც ერთი თანამდებობის პირი საკუთარ მოალოებას უფლისყურად ვერ მოეკიდება, მით უმეტეს, უკანონობის ჩადენას ვერ გაბედავს, რადგან კარგად ეყოფინება, რომ ოპოზიცია ქვეყანას ამტკიცებს მის საქციელს და პოლიტიკური საშუალებებით დაუპირისპირდება. საზოგადოებრივ აზრს კი ყველა ხელისუფლება უფრთხილდება, რადგან მისი აზრებმა თუ დაცემა ხალხის ნებაზეა დამოკიდებული. ათ არჩეული მთავრობა ხალხის ნებას თავისი უპასუხისმგებელი პოლიტიკით აბუჩად აიგდებს, იგი იმავე ხალხისაგან სიკეთეს აღარ უნდა ელოდოს.

რაც შეეხება პრეზიდენტს, იგი უმადლესი ხელისუფლება და აქედან გამომდინარე, მას აკისრია ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა საკუთარი მმართველობის აპარატის საქმიანობაზე. ამიტომ, თვით პრეზიდენტისათვის აუცილებელია (დასასრული 80-11 33).

მოსაზრება

მოსაზრება



# დემოკრატიულ ცენტრში

საარჩევნო კამპანიის დასრულების შემდეგ იმდროინდელი პრეზიდენტის ინფორმაციის სხვა საშუალებებით, რომელიც დღემდე ხელისუფლების ცენტრისა და დიქტატორის ქვეშ იმყოფება. აქვე აღინიშნება, რომ არჩევნების გზით რამდენიმე სადემოკრატიო ადგილს მოპოვებდა ნაციონალური მოძრაობის დემოკრატიული ცენტრი, რომელიც დღემდე არსებობს. იმ ტვირთს, რაც უმრავლესს არაკორექტულ, ხშირად კი არაკანონიერ ზეწოლაში გამოიხატება. მათი აზრით, დემოკრატიულად გაწყობილი დემოკრატიის შემადგენელი უფრო ქმედითი გახდის ოპოზიციის საქმიანობას.

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის“ და მისთან თანამშრომელ პოლიტიკურ პარტიათა ალიანსის მორიგი სხდომა. სხდომაზე განიხილეს საქართველოში უკანასკნელ ხანს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. აღინიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება კლავინდებურად ამოწვევს სიტუაციას, ჩვეული პოლიტიკური ზეგავლენით ეწევა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებისა და საწინააღმდეგო პოზიციებზე მდგარი პოლიტიკური ძალების დისკრედიტაციას. საგანგებოდ იმსჯელეს მთავრობის სახლის წინ გამართული „ინტელიგენციის მიტინგად“ წოდებული თავყრილობის შესახებ. ყველა ერთსულოვანი იყო იმაში, რომ მისი მონაწილენი თავისი ქმედებითა და რეაქციული მოწოდებებით იდეოლოგიურ საფუძველს უქმნიან საქართველოში პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და სხვაგვარად მოაზროვნეთა დენის პროცესს. შეგუბანებდა რეპრეზენტაციას, რისკენაც მოუწოდა არაერთმა მონაწილემ, არის არა მარტო ზნეობრივი, არამედ სისხლის სამართლის დანაშაული.

სხდომაზე მოისმინეს ფრაქციისა და პოლიტიკურ პარტიათა ალიანსის მიერ ევროპარლამენტში მივლინებული წარმომადგენლების, ბატონ დავით ბერძენიშვილისა და ბატონ ზურაბ ჟვანიას ინფორმაცია სტრასბურგში მათი საქმიანობის შესახებ.

ცალკე განიხილეს ფრაქციის მიერ მოწვეული, ევროსაბჭოში შევიცარიის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის ადამინთა უფლებების დაცვის ევროპული კომისიის ვიცე-პრეზიდენტის პროფესორ შტეფან ტრეჟსლერ-

კინბერგერის ვიზიტის შედეგები. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებისა და საქართველოში პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანად მოგვარების მიზნით საკონსულტაციოდ მოიწვიონ ევროპარლამენტის წამყვანი ფრაქციების წარმომადგენელთა დელეგაცია. სხდომის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის საკითხი, რომელიც გამოკლებული დემოკრატიის შესახებ უნდა გაიმართოს. ალიანსის წევრი შეიძლება პოლიტიკური ორგანიზაციიდან პოლიტიკურმა ბლოკმა თავისუფლებამ (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია) და თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. მათი აზრით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ამჟამინდელი შემადგენლობის გაუმჯობესება შეუძლებელია და აუცილებელია ახალი რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა. დასახელებული იყო სხვა მიზეზებიც, კერძოდ: უზენაესი საბჭოს სხდომები მიმდინარეობს ადამიანის ღირსების შემლახვე პირობებში, გარდა ამისა, არჩევნების პირობები დისკრიმინაციულია, რადგან პოლიტიკურ პარტიათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შეჩერებით მრავალ პარტიას არ ეძლევა არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრებები ყველამ გაიზიარა, დანარჩენმა პარტიებმა გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, რაც მინიმალურ შესაძლებლობას მიანიჭებს ოპოზიციის გამოთქმის თავისი აზრი

სხდომაზე იმსჯელეს პროპაგანდის საკითხებზეც. მიიღეს გადაწყვეტილება, კვლავ გააგრძელონ შეხვედრები რაიონებში, თემებში, სასოფლისურ და სხვა ადგილებში ანტიკორუპციულ რაიონ, ტელევიზია და პრესა ცალმხრივად ეწევა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის პარტიული პოლიტიკის პროპაგანდას, ხოლო ოპოზიციის მოკლებულია ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას.

სხდომამ დაგმო საქართველოში გახშირებული ტერორისტული აქტები, მოუწოდა ხელისუფლებას გაემჯროს ამ ფაქტებს და სასწრაფოდ იქნას გამოკვლილი დემოკრატიული თავდასხმის ორგანიზატორები. ამასთან, სხდომამ მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც თავისი პოლიტიკით, გაუთავებელი ოფიციალური მიტინგებით და მოწოდებებით ხელგონურად აღრმავებს დაძაბულობას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს პოლიტიკური ტერორისა და ანგარიშსწორებისათვის.

სხდომაზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

**დემოკრატიული ცენტრის სამდივნო.**

## „მგზავლები ჩვენი ისტორიული ქვეყანაში“

ამ ბოლო დროს ზოგიერთ საგანგებო პუბლიკაციაში შეინიშნება ერთი საუკეთესო ტენდენცია, რამაც შესაძლოა ჩრდილო მთავრობის ორი უძველესი ერის — ქართველთა და ებრაელების — მშვიდობიანი ურთიერთობის განახლება და გაუმჯობესება. ჩვენს მიწა-წყალზე ამ ხალხების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ისტორიამ არ იცის ფაქტი, ოდნავადაც რომ აქინებდეს ქართველთა და ქართველ ისრაელთა შორის უსსავგარის დროდღაც ჩამოყალიბებულ შეხებას. სხვაგვარად ისტორია სავსეა ცნობებით, ქართველებსა და ებრაელებს შორის ურთიერთსიყვარულს, პატივისცემას, პირისა და ღირსების თანაზიარობას რომ ასახავს.

აგვიდობს გამო საკუთარ სადემოკრატიულ-დემოკრატიულ ისრაელებს, რომლებიც საქართველოში დაქვედრდნენ, ჩვენში არასოდეს უგრძნობით თავი ვერაღ; საქართველოში საკუთარი შეილებივით კალთისქვეშ შეიფარა ისინი და ყოველთვის ნამდვილ დედობას უწევდა მათ.

ქართველთა და ებრაელების პარალელურ ურთიერთობას ქართველი ხალხის საოცარი გულსისხმიერება, მისი უსაზღვრო ტოლერანტობა ასაზრდოებდა, ისრაელთა დასაფასებელი მადლიერების გრძობა, მათ მიერ მტერ-მოყვარის უტყუარი გარჩევის დიდი უნარი ზრდიდა.

ასწულელების განმავლობაში ჩვენს ქართველ ებრაელებს საერთო გეგონა ბედიცა და უბედობაც, გამარჯვებების სიხარულიც ერთად გვიხვამია და გაკვირვების ეპოსაც ერთმანეთის გვერდით ვმდგარვართ. სრულიად არ იყო შემთხვევითი, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამო ქართველ ებრაელთა სახელით მიხაკო ხანაშვილი 1918 წელს წერდა: „საქართველოს პოლიტიკურად განთავისუფლებას გაუხარებია ყველა ჩვენი მუშობელი, როგორც ეს მათი მოლოცვებიდან

სხანს; არ მისაღწევია მხოლოდ ქართველი ისრაელები, მაგრამ ეს არც ისრაელი იყო, ვინაიდან რადესაც ოჯახში ქორწილია, მაშინ უცხოელები და გარეშე სტუმრები მოდიან მოსალოცად, შინაურები კი, თავისთავად გახარებულნი ზეიმობენ ბედნიერებას“.

1908 წლის 22 თებერვალს ქუთათურ ებრაელებს თავს დაატყდათ უბედურება: მოულოდნელად გაჩენილმა ხანძარმა შთანთქა ებრაელთა უბნის დიდი ნაწილი. ცეცხლში დაიღუპა რამდენიმე ათეული სხლი, მოსპოა მოხინაღრეთა ყოველგვარი სარჩო-საბადებელი, დიწვეა პირუტყვი და შინაური ფრინველი. მრავალი ებრაელი უსუქმბუროდ და თავშესაფრის გარეშე დარჩა.

დაზარალებულთა დასახმარებელი მაშინვე შეიქმნა საზოგადოებრივი კომიტეტი, რომელმაც იკისრა შემოწმების მიზნით შეგროვება და გაკვირვებაში ჩაგარდნილ თანაქალაქელთათვის ხელის გამართვა.

უსასლკაროდ დარჩენილ ქართველ ებრაელთა თანადგომის მიზნით გაზეთმა „შრომაში“ (№ 4. 2 მარტი) — სათაურით „დაცემაროთი“, გამოაქვეყნა დ. ავალიანის მოწოდება. მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ ამ მიმართვის.

სხ. დამწვარი ძაღლები და კატები უთვალავია... ზარალი უთუოთ 100 000 მანეთს აღემატება. დაზარალებულთა დიდ უმეტესობას ებრაელთა ულარობის ნაწილი შეადგენს, რომელსაც ცხოვრების არავითარი საშარო არ დარჩენია. გადამწვარი ადგილი გულის შემზარავ სურათს წარმოადგენს: ექვსი-შვიდი ქცევა ადგილი, სადაც უმეტესათ ხის სახლები იყო აშენებული, სრულიად მოტეხილებულია; აგერ-აგერ დარჩენილა ქვემო საბურთალოს ქვეყნის კედლები, ან სამიწკვლები, ქვის კბეები და აგურის ბუნებები, რომელნიც სასაფლაოს ძეგლებს მოგაგონებთ; აქა-იქ ყრია შინაური პირუტყვი და ფრინველები, ზოგი გატრუსული და წელგებამოყრისა, ზოგი სრულიად დამწვარი და დფერფლილი. გადამწვარი სახლების ადგილზე სხედან სახედა-კაწრულ-დასისხლიანებული ებრაელთა ცოლები, რომელნიც სასოწარკვეთილებით სასეს ხმით მოსთქვამენ თავის უბედურებას; მათ გარს შემოსხლილიან შიშველტიტველი ბავშვები, რომელნიც სტირინან და დედებს საკმელს თხოვენ.

დაზარალებულთა გაკვირვება ენით წარმოუთქმელია. საჭიროა საჩქაროთ მათი დახმარება როგორც ფულით, ისე ტანისამოსით და სასმელ-საჭედილით. ამ უბედურებამ ყველა უნდა შეგვეხიროს, განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა და წოდებისა, ყველამ უნდა გავუწოდოთ მათ ხელი საშველათ. დარწმუნებული ვარ, შეძლებული ებრაელები ათასობით გამოიღებენ ფულს თავისი ძმების დასახმარებლად, მაგრამ ამან ჩვენ არ უნდა შეგვაჩიროს: ებრაელები ჩვენი ისტორიული ძმები არიან, პირისა და ღირსში ჩვენი თანამოზიარენი; ყველა ჩვენგანთ ვალდებულია შეძლებისდაგვარად დაეხმაროს ამ უბედურებებში ჩავარდნილ თანამომქმეთ და გახდეს მათი უბედურების მონაწილეთ“.

ოთარ ჯანელიძე



მსოფლიოს ყველა წამყვანმა საინფორმაციო სააგენტომ ელვის სისწრაფით გაავრცელა სენსაციური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის ბრძანებით ელვარდ შევარდნაძე დანიშნულია საბჭოთა საგარეო ურთიერთობათა მინისტრად. ახალმა საგარეო ურთიერთობათა სამინისტრომ შეცვალა ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტრო. ყოფილი მინისტრი ბორის პანკინი გაგზავნეს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დიდ ბრიტანეთში. ასევე დამტკიცეს პრეზიდენტთან არსებული პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრად.

შევარდნაძის დაბრუნებას საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაურის პოსტზე მაშინვე გამოეხმაურნენ დასავლეთის სახელმწიფოები. პრეზიდენტმა ქ. ბუშმა განაცხადა, რომ ე. შევარდნაძე დიდი პატივისცემით სარგებლობს შეერთებულ შტატებში და მას ვაშინგტონში ბევრი მეგობარი ჰყავს, მათ შორის სახელმწიფო მდივანი ქ. ბიენკერი.

როგორც „ბი-ბი-სის“ მოსკოველი კორესპონდენტი ტიმ ჰიუელი აღნიშნავს, გორბაჩოვის სურს ისარგებლოს შევარდნაძის უდიდესი ავტორიტეტით მსოფლიოში, რათა როგორმე განამტკიცოს ყოფილი საბჭოთა კავშირის, პერსპექტივაში კი სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის მომავალი, თუმცა კორესპონდენტი აზრით, ახალი მინისტრის მოქმედების თავისუფლება გარკვეულწილად შეზღუდული იქნება იმის გამო, რომ რესპუბლიკები ცდილობენ გაატარონ საკუთარი საგარეო პოლიტიკა.

ნოვო-ოგარიოვოში ჩატარებულ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მ. გორბაჩოვმა 7 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა პრინციპში შეთანხმეს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება — სუვერენულ სახელმწიფოს კავშირის შექმნის შესახებ. სხდომაში საბჭოთა პრეზიდენტის გარდა, მონაწილეობდნენ რუსეთის, ბელორუსის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის ლიდერები. როგორც მ. გორბაჩოვმა განაცხადა, უკრაინა არ მიიღებს მონაწილეობას დისკუსიებში სამოკავშირეო ხელშეკრულების ორგანიზაციაში, სანამ ამ რესპუბლიკაში არ ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე. ორივე ეს ღონისძიება დაგეგმილია 1 დეკემბრისათვის.

სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტი განსახილველად გადაეცა რესპუბლიკებს.

მოსკოვში მიმდინარეობს მსოფლიოს 7 წამყვანი სახელმწიფოს ფინანსური წრეებისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლების კონსულტაციები საბჭოთა კავშირის საგარეო ვალის გადახდის თაობაზე, რომელიც ზოგიერთი მონაცემებით, 65-დან 80 მილიარდამდე დოლარს შეადგენს.

„დიდი შვიდეულის“ წარმომადგენლებმა რესპუბლიკებს შესთავაზეს ერთობლივი მორატორიუმი საბჭოთა კავშირის მიერ მისი საგარეო ვალიდან პროცენტების გადახდაზე, ასევე 1 მილიარდი დოლარის სესხი, რათა შეამსუბუქონ საბჭოთა კავშირში ვალუტის უქმარისობისთან დაკავშირებული სიძნელებები.

„ბი-ბი-სის“ მოსკოველი კორესპონდენტი ბრიჯიტ კენდალი იუწყავს, რომ 12 რესპუბლიკიდან 9 დათანხმდა მონაწილეობა მიიღოს ვალის გადახდაზე და ხელი მოაწერა შესაბამის მემორანდუმს. უკრაინამ, უზბეკეთმა და აზერბაიჯანმა უარი თქვეს მის ხელმოწერაზე იმ მოტივით, რომ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული მათი წილი საგარეო ვალიდან.

„ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, აშშ-ს მთავრობამ გადაწყვიტა, 1,5 მილიარდი დოლარის დამატებითი სასურსათო დახმარება გაუწიოს უშუალოდ საბჭოთა რესპუბლიკებს ცენტრალური ხელისუფლების გვერდის აგლით. გაზეთის მოქყავს მთავრობის წარმომადგენლის სიტყვები იმის შესახებ, რომ რესპუბლიკებისათვის სასურსათო დახმარების გაწევის გადაწყვეტილება გამომხატავს აშშ-ს ადმინისტრაციის შეხედულებას, რომლის თანახმად, საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება დაშლის პირასაა მისული.

თეთრი სახლის წარმომადგენლის მ. ფიციუტერის განცხადების თანახმად, საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის შესახებ გამოცხადდება 2-3 კვირის შემდეგ.

იუგოსლავიის ფედერალურმა არმიამ ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ აიღო აღმოსავლეთ ბორჯაბის ქალაქი ვუკოვარი. ქალაქის დამცველმა ბორჯაბის ეროვნულმა გვარდიელებმა დაყარეს იარაღი. სამოქალაქო ომის დაწყების დროიდან ფედერალურმა არმიამ, რომლის შემადგენლობაში მარბობენ სერბები, უკვე დაიპყრო ბორჯაბის ტერიტორიის დაახლოებით ერთი მესამედი. ამჟამად სულ უფრო აქტიურად განიხილება ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაეროს სამშვიდობო ძალების შეყვანის საკითხი.

P. S. ამით ჩვენი რუბრიკა იხურება. ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ოდესმე კვლავ გავქნება თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობა.

ირინე თაყვორაშვილი

### თურქეთისა და რუმინეთის წამსვლელთა საპურადღებოდ!

მრავალდარგოვანი სამრეწველო კომერციული ფირმა „იალბუზი“ გთავაზობთ მგზავრთა მომსახურების კომფორტული ავტობუსით თურქეთსა და რუმინეთში. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე.

ა. წერეთლის პროსპექტი № 99. ტელ: 34-06-79.

### ყურადღება!

თუ გაინტერესებთ, რა საიდუმლოებებს შეიცავდა საქართველოს საბჭოური, გაყალბებული ისტორია, გამოიწერეთ ჟურნალი „საისტორიო ვერბიკალი“

ჟურნალი დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიის მასწავლებლებს, ახალგაზრდა ისტორიკოსებს. ჟურნალის ინდექსია 76163, გამოდის თვეში ერთჯერ. 6 ნაბ. თაბახის მოცულობით, ღირს სამი მანეთი, წლიურად 36 მანეთი.


„საისტორიო ვერბიკალის“ რედაქცია.





# გალაკტიონი — 100

## ათი უჩვეულებული წაბი



გალაკტიონი, ვალერიან გაფურინდაშვილი და ნიკოლოზ მიწიშვილი (1915-1920).




გალაკტიონი და ირაკლი აბაშიძე ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში. 1958 წელს.



გალაკტიონი 1951 წელს.




გალაკტიონი სტუმრად საქართველოს კინოფოტოფონოლოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. გალაკტიონი, დავით კლდიაშვილის ქალიშვილი თამარი და არქივის დირექტორი, გალაკტიონის ბიძაშვილი ბესარიონ ტაბიძე. 1948 წელი.



გალაკტიონი განუყრელი ბლოკნოტით ხელში.



გალაკტიონი წიგნის მაღაზიაში. 1957 წელი.



გალაკტიონი აკაკის საფლავთან, 1950 წელი.



ქართველი მწერლები კანტორა „იმერეთში“. სხედან: იასონ ნიკოლოზიშვილი, ია ეკალაძე, დავით კლდიაშვილი, ნოე ჩხიკვაძე, დგანან: დავით კვიციანი და გალაკტიონი. 20-იანი წლები. ნიკოლოზ ხალაბაძის ფოტო.



კადრები პირველი კინომოყვარული ფილმიდან „24 საათი თბილისში“, რეჟისორი გულზათ აბელიშვილი. 1957 წელი.

### ელვა ღიბრაძე



ალბათ გრძნობდი, რომ ასე ხანმოკლე იქნებოდა შენი სიცოცხლე, გრძნობდი და იმიტომ გინდოდა ყველაფერი მოგესწრო, ყველას სიყვარული დაგეტია მაგ პატარა გულში, ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ უშენობას ვერავითარი დრო ვერ კურნავს. შენი ჭკვიანი, ნაღვლიანი თვალების გამზებდა ყველას სამუდამოდ დარჩა მესხიერებაში. მე ისევ გელი ყოველ დღით, მგონია ისევ შემოიბრუნე ჩემს ოთახში, შენი კისკისით გამაღვიძებ და გულში ჩამეხუტებო. ელვა, შენ იტოვდი, რომ ოჯახში მალე პატარა გაჩნდებოდა და დედას სულ ეხვეწებოდი, მალე მოიყვანე პატარა ბაბაო. ალბათ გრძნობდი, რომ ვერ მოესწრებოდი მის ნახვას და იმიტომ ჩქარობდი. დედამ გაუძლო ამ დიდ უბედურებას, შენს დაკარგვას, და მოიყვანა პატარა ელენე, რომელიც სულ შენ გგავს, პირველი სიტყვაც შენი სახელი ისწავლა. სწორედ მან გვიშველა და შეგვიმსუბუქა ეს დიდი ნაღველი შენი წასვლით რომ დაგვიტოვებოდა. ელვა! მე ხომ წინასწარ ვნახე სიზმარი, რომ შენ მომიკვდი ავტოავარიაში. ვითხარის სიზმარი და ვთქვი: შენ რომ მომიკვდე შეილო, თავს მოვიკლა შემთქი. როდესაც ეს სიზმარი ცხადად ამიხდა, ვერ მოვიკალი თავი ან არ მოვიკალი. ვერ გეტყვი. თუმცა მე ხომ მხოლოდ ფიზიკურად ვარსებობ ამ ქვეყანაზე. მხოლოდ იმიტომ რომ ქეთის და ელენეს ვკირდები, სულიერად კი შენთან ვარ, ვეფოფინები შენ საფლავს. ყოველდღე ცოცხალი ყვავილები მომაქვს შენთან, სადაც შენ მეგულები, იქ არის ჩემი ყველაზე საყვარელი ადგილი, ხშირად შუალამეს ვდგები და მოვდივარ, რომ მოგეფერო და დავიმშვიდო აფორიაქებული სული. შენ ხომ ჩემი სალოცავი და საფეცარი იყავი, ყველა ახლობელი და ნათესავი მეუბნებოდა, არ შეიძლება ასეთი გამოჩენილი და ძლიერი სიყვარული. ნუთუ ასეთი სიყვარულისათვის დავისაჩე, ელვა! როგორ განიცადე ცხრა აპრილი. დაღუპული გოგონები და ბიჭები. მეხუთე კლასში იყავი და ლოზუნებს წერდი: „სტუდენტებო, ჩვენც თქვენთან ვართ“. ცხრა რიცხვი ქართველებისათვის დაწვევლილი რიცხვია. შენც ხომ ცხრა სექტემბერს დაედღე. მესამედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს — 16 ნოემბერს. ცამეტ წლის ხდები. ყველა შენს ამხანაგს და თანაკლასელებს ვეპატივები. ნათელი იყოს შენთვის, შეილო, სიმშვიდით აღსავსე ცათა სასუფეველი და მსუბუქი საქართველოს მიწა.

ეყილი მშენებარე აგარას ცხვარიჭამიაში. საკონტაქტო ტელეფონი: 34-23-53

ვაშაძებ აბიტურიენტებს უნივერსიტეტისათვის (აგრეთვე სკოლის მოსწავლეებს) ხელოვნების აბიტორიაში. ტელეფონები: 23-21-74. საღამოს 8 საათის შემდეგ.

**ლილი.**





XVIII საუკუნის დასაწყისის დიდი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და კარტოგრაფის უმდიდრესი და უნიკალური მემკვიდრეობის სახელწოდებით გამოცემის დასრულება მოახლოვდა მეცნიერის დაბადების 300 წლისთავი და მისი ბევრი ნაშრომი კვლავ არქივისა და ხელნაწერთა ფონდების საკუთრებაა; არ არის გამოცემული საქართველოს არც ერთი ატლასი, მსოფლიო ატლასი ქართულ ენაზე, მსოფლიო გეოგრაფია და სხვა. ამის შესახებ არა ერთხელ დაიწერა პრესაში, მაგრამ უნიკალური ნაწარმოებების გამოცემის საშველი არ დაიდგა. ამ ხუთიოდე წლის წინათ ვრცელი წერილი გამოვიქვეყნეთ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (5 ივნისი, 1987 წ.) — „ერის საუფროსო სინათლეს ელის“. მასში აღნიშნულია ის თავგადასავალი, რაც ვახუშტის მიერ შედგენილი საქართველოს ატლასებმა გამოიარეს. თითქმის 15 წელი ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში გამოსაცემად არის გამზადებული XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნული ატლასი — საქართველოს ატლასები, მაგრამ მის გამოცემის საშველი არ დაიდგა.

დაიხარჯა დიდძალი შრომა, დრო, თანხა; მეცნიერთა თუ საზოგადოების ფართო წრე მოუთმენლად ელის ძვირფას ნაშრომს, მაგრამ გამოსაცემად გამზადებული ვახუშტი ბაგრატიონის შესანიშნავი ატლასები უიმედოდ და ჩარაზული კარადაა.

აქადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი თავის დროზე წერდა: „რამდენადაც გეოგრაფიული რუკების (ლაპარაკია ვახუშტი ბაგრატიონის ატლასებზე) გამოცემა მოითხოვს საგანგებო მომზადებას. გეოგრაფიული მეცნიერების დარგში, ამდენად ჩვენ ვერ გავკადნიერდით ჩაერთვით ამ საქმეში, და ხმამაღლა უნდა მოვითხოვოთ ჩვენ გეოგრაფიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთაგან, ქართული მეცნიერების მიღწევის კვლობაზე, გამოაქვეყნონ რუკები...“

პატივცემული მეცნიერი მოკრძალებით, მაგრამ სამართლიანად მიმართავენ გეოგრაფებს, რათა გამოექვეყნებინათ ვახუშტი ბაგრატიონის ატლასები. ვახუშტი გულისტკივილი; მან ხომ დიდი შრომა შეაღწია ვახუშტი ბაგრატიონის მემკვიდრეობის გამოცემას. სხვა არა ერთი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გამოთქვამდა თავის აზრს და საყვედურს ამ ბრწყინვალე ეროვნული საუნჯის გამოუყენებლობის გამო.

აი, ამონაწერი ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მემორიალური მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნიდან: „საბუნდა ჩემი დიდი ხნის სურვილი, მოგზავდი გეოგრაფიის ინსტიტუტში, რომელიც დიდი ვახუშტის სახელს ატარებს. ვერ კიდევ ასპირანტურის პერიოდში მე გავცემა ვახუშტის ხელნაწერი ატლასის. ეს იყო 1933 წელი, როდესაც ლენინგრადში ვახუშტის ატლასიდან თანამედროვე საფუძველზე გადმოვიღე ქვემო ქართლის რუკა. ძალზე საინტერესოა, რომ დღემდე არ არის გამოცემული ვახუშტის ატლასი. ეს დაუშვებელია. ეს არის მსოფლიო კარტოგრაფიის უდიდესი ძეგლი და მის არსებობაზე გეოგრაფიის ინსტიტუტის გარდა არავინ იცის. შემდგომში ორგანიზაციებმა მისი სახელი უნდა იტაროს მის გამოცემაზე. სომხეთის მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსი ს.ერემიანი, 2 მარტი 1987 წელი.

აკადემიკოსი სურენ ერემიანი საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერია, რომელიც მრავალ სხვა პრობლემებთან ერთად წარმატებით იკვლევს ისტორიული გეოგრაფიისა და ისტორიული კარტოგრაფიის საკითხებს; ამდენად, მისი აზრი ანგარიშგასაწევაა. აქ, ძნელი ჩამოვთვლილი ყველა ის მიზეზები, რამაც ასე გადაიღო ამ უნიკალური ატლასების გამოცემა, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვით, მათი დღემდე გამოუცემლობა დანაშაულის ტოლფასია. მით უმეტეს, ამ ატლასების ცალკეული რუკების გამოცემა ხდება, რომელიც არ სახით კითხვებამდე მიტანა ყოველად დაუშვებლად მიგვაჩნია.

მხედველობაში გვაქვს ის, რომ მიმდინარე წელს გამოსცეს ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაწარმოებებიდან ჯერ თბილისის გეგმა, ახლახან კი ერთ-ერთი ძირითადი რუკა, თბილისის გეგმის გამოსვლასთან დაკავშირებით საქართველოში წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელი“ (4 ივლისი 1991 წ.) — „ყალბისმქმნელობა, შენერდით...“ წერილის სათაურიდანაც ჩანს, რომ მასში ბევრი დამაფიქრებელი მომენტია გათვალისწინებული; ყველა მათგანს აქ აღარ გავიმეორებ, მხოლოდ წერილის დასკვნითი ნაწილიდან ერთ წინადადებას მოვიტანო: „დაბოლოს, თუ ჩვენი წინაპრების დიდი რულუნებით შესრულებული კარტოგრაფიული ნაწარმოებების ნორმალური გამოცემა არ შეგვიძლია, ისევე სჯობს წინასწარ შევინებოთ და არქივებში უძრავად ვივსოთ, ვიდრე არ ვისწავლოთ მათ სათანადო დონეზე გამოცემას“. მას შემდეგ თითქმის ნახევარი წელი გავიდა და ჩვენი გულისტკივილი დარჩა ახმად მლაღადებლისად უდაბნოსა შინა“. ამის

# რატომ უგურობს ცხოველები?!

## ვახუშტი ბაგრატიონის ერთი რუკის გამოცემის გამო

საილუსტრაციოდ გამოვსვამ ახლახან რუსთაველის საზოგადოების გამოცემილი „სარანგის“ მიერ დაბეჭდილი ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის ერთი რუკა.

ცხადია, გამოცემის იდეა კარგია, ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ ამ სახით მკითხველისათვის მისი მიწოდება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. უხერხულია იმდენად, რამდენადაც საქმის უსულგულო დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. დაიწყოთ ვახუშტი ბაგრატიონის სურათით. იგი ამოღებულია (დაბადება-გარდაცვალების თარიღით) წიგნიდან „ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი 50“. ამაში საკვირველი არაფერია, მაგრამ აღნიშნული წიგნი დროის სიმციროს გამო, სამწუხაროდ, ისე გამოიცა, ვერ მოხერხდა ავტორის დადგენა. საქმე ისაა, რომ ეს ნახატი-სურათი ამოვიღეთ საქინფორმის მასალებიდან. შემდეგში დავადგინეთ და სხვა გამოცემებში (იხ. „საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი 1987“) მიუვითეთ, რომ ნახატი (ტილო-ზეთი) შესრულებულია გივი აღაბიშვილის მიერ. სხვათა შორის, ეს ნახატი ფერადია და მოსკოვშია დაცული.

რუკის სათაური — „ვახუშტის მიერ 1735 წელს შედგენილი რუკა“ უხერხული გამოთქმაა. საერთოდ, აწერენ რუკის სათაურს და მიუთითებენ ავტორს და შედგენის წელს. სიტყვები „მიერ“ და „შედგენილი“ ზედმეტია. შემდეგ დაბეჭდილია თვით ვახუშტი ბაგრატიონის ხელნაწერი რუკა. აქ, ცხადია, შენიშვნა არ გვაქვს, მაგრამ ფერების დარღვევა რომ არ ყოფილიყო. კარტოგრაფიისათვის ცნობილია, რომ დედნისეული ფერები დაცულ უნდა იქნას. წინამდებარე რუკაზე თითქმის ყველა დედნისეული ფერი დარღვეულია. ეს კიდევ რამდენიმე ასატანი იქნებოდა, რომ რუკის თავზე მოცემული გერბების ფერებიც დარღვეული არ ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ სიმბოლოებზე მოცემულ თითოეულ ფერს და დეტალს არსებითი მნიშვნელობა აქვს. სიმბოლოების ასხა შეიძლება ბიბლიის მიხედვით, რომლის მითითებებს ქრისტიანულ პერიოდში თავისებური ასხა მოეძებნა. ამის მიხედვით თითოეულ ფერს თავისი მნიშვნელობა გააჩნია და მისი დარღვევის უფლება არ გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი რამ გაუგებარი ხდება. მკითხველს მივაწვდი იმ ფერებს, რომელიც გააჩნია თითოეულ გერბს სინამდვილეში და თვით განსაჯოს როგორ არის დარღვეული წინამდებარე გამოცემაზე ეს ფერები. ამასთან, აღნიშნავ მხოლოდ ძირითად ფერებს, თორემ კარტოგრაფია თუ მხატვრობა თვითონ უნდა შეაზავოს ნამდვილი

გარდამავალი ფერებიც. ახლახან გერბი — ფონი ღია მწვანე, სარჩული წითელი, სამი ახალი მთვარე ყვითელი. გულის გერბი — ფონი მუქი ვარდისფერი, სარჩული ყვითელი, ვარსკვლავი წითელი. ოდიშის გერბი — ფონი ღია მთხაისფერი, სარჩული მუქი, ტახტი რუხი. იმერეთის გერბი — ფონი ცისფერი, სარჩული ღია ყვითელი, ამავე ფერის ირემი, სამეფო გვირგვინის გარშემო წითელი, შიგნით ყვითელი. საქართველოს გერბი (წმინდა გიორგი) — ფონი ღია ყვითელი, ცხენი თეთრი, წმინდა გიორგის სამოსელი წითელი, თავსაბურავი ყვითელი, გვირგვინი წითელი, მოსასხამი ღია მწვანე, დრაკონი მუქი მწვანე. სამეფო კვართიან დავითიან საქართველოს (ბაგრატიონთა გერბი) — ფონი ღია მწვანე, კვართი და უჯრების ჩარჩო წითელი, სამოსელი ყვითელი, ლომები ღია ყვითელი. საქართველოს გერბი (მთავარანგელოზი) — ფონი ყვითელი,

კორექტურასთან არ გვაქვს საქმე. მე ვფიქრობ, რომ მკითხველი გაცილებით უკეთესად ამოიკითხავდა ხელნაწერიდან ამ სახელწოდებებს, ვიდრე ეს გაუკეთებიათ რუკის გამოცემისას. ქვემოთ წარმოგიდგინებ იმ დამახინჯებულ სახელწოდებებს, რომლებიც გაცილებით მეტი აღმოჩნდება გარკვეული კვლევის შემდეგ. ამასთან, დამახინჯებებს სრულად იმეორებს სქემის ინგლისური ვარიანტი. ქვემოთ დასახელებული პირველი სახელწოდება ვახუშტისეული დედნის ვარიანტია, ხოლო გვერდით მიწერილი არის ახლახან გამოცემული რუკის სქემიდან „რუკის წარწერების კითხვის გასაადვილებლად“.

- აბოცი — ბოული
- აკურთა — აკურთა
- ანაკოფია — ანაკოფია
- ანტორია — ანტორია
- არეში — არევი
- ართვანი — ართვანო
- არტაანი — არტანა
- ბანბაი — ანაია
- ბერიძე — საბერიძე
- ბორჩხა — ბორჩა
- ბუგაული — ბუგაული
- გვისტიმე — გვისტიმი
- დღეში — დღეში
- დმანისი — დმანისი
- დღევირი — დღევირი
- ერუშეთი — ერუშეთელი
- ზახა-ზხა
- თიღვა — თიღვა
- ისულეთი — ისულეთი
- კახჭირი — კახჭირი
- კოვორი — კოვორი
- ლაფონა — ლაფონა
- ლხეური — ლხეური
- ლოგანის ხევი — ლოგანის ხევი
- ლომისა — ლომისი
- ლორე — ლორე
- მალრანდვალეთი — დვალეთი
- მეგვდა — მეგვდა
- მინდა — წმინდა
- მოღამანხე — გოგამანხე
- მოღამანხე — მოღამანხე
- მრავალძალი — მლაგარძალი
- ნარიმანი — ნარიმანი
- ნეკრესი — ნეკრესი
- ნიკოლაწმინდა — ნიკორწმინდა
- ნილოწმინდა — ნილოწმინდა
- სადაკაციო — ბალაკაცი
- სადაკაციო — სადაკაციო
- სამშვილდე — სამშვილდე
- საფაციო — საფაციო
- სხოვი — სევა
- ტაბაკინი — ნაბაკინი
- ტოლა — ცოლა
- ტრაბიზონი — ტრაბიზონი
- ტყვირი — ტყვირი
- ულუნბა — ულუნბა
- ფანასკერტი — ფანასკერტი
- ფანაქი — ფანაქი
- ფანაქანა
- ყაიყული — ყაიყული
- ყველი — იელი
- ცუცვათი — ციხვა
- წედისი — ნიდისი
- წურწყუმი — წურწყუმი
- წყალდავანწულია — წყალდავანწულია
- ჭალატყე — ბალატყე
- ჭყვისი — ჭყვისი
- ჩანმაზი — ახანმაზი
- ხიდი — ზოდი
- ხილხალა — სილხალა
- ხორანბუჯი — ხორანბუჯი
- ხრეთი — გრეთი
- ჰავარი — ცოავრი

შეიქმნა და იგი ქედს გადმოღობა. ახლანდელ გამოცემულ სქემაზე კი დიდი ლიხების სათავეებშია მითითებული დვალეთი, რაც უხეში შეცდომაა. ასევე, ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია ფანაქი და ქვეშე მიწერილი აქვს ბანა. თვით ტექსტში აღნიშნავს: „ამა ზეთი (ფანასკერტი — კ.ბ.), ამ წყალზედ, მთაში, არს ბანა, აწ უწოდებენ ფანასქს“. რუკაზე კი ორივე სახელწოდება მიგვითითა და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ახლანდელ გამოცემულ სქემაზე კი ერთ სიტყვად, ერთ სახელწოდებად გაერთიანეს და „ფანაქანა“ მიაწერეს. ასევე, ვახუშტის ცალ-ცალკე აქვს აღნიშნული საჩინი სტეკია, რაც ახლანდელ სქემაზე ერთ სიტყვად საჩინოსებუდაც არის გადმოცემული. ასევე, ვახუშტის აღნიშნული აქვს აბოცი და ყაიყული. ტექსტში კი აღნიშნულია: „ამ მთის დასავლეთ კერძ არს აბოცი, აწ ყაიყულად წოდებული...“ ახლანდელი სქემის გამოცემისას ორივე სახელწოდება დაამახინჯეს და დაწერეს — „ბოული“ და „ყაიყული“. გარდა ამისა, გერბების ზოგიერთ მინაწერსაც უზუსტობა და გადმოცემის; მაგალითად, ვახუშტის უწერია „ოდიშისა“, სქემაზე გადმოცემილია „ოდიში“. თვით რუკის სათაურში ვახუშტის მითითებული აქვს „ღერბნი“; ახლანდელ სქემაზე „ღერბნი“. თვით სათაურში ვახუშტის სიტყვებს შორის ორი წერტილი აქვს მოთავსებული. სქემის გამოცემისას ისინი საერთოდ მოხსნეს და არც სასენი ნიშნები დაუსვეს.

ამასთან ერთად, ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე დატანილ ბევრ სახელწოდებას ვერ იპოვით სქემაზე. ისინი გამოცემულმა ან ვერ ამოიკითხეს (თუმცა სჯობდა ბევრი მითვანი არც ამოიკითხათ), ან გამოჩნათ. სქემაზე ვერ ვიპოვე ვახუშტის რუკაზე დატანილი შედეგი სახელწოდებები: საღამოს ტბა, ვანისი (მესხეთში), ალი, ახალქალაქი (შიდა ქართლში), ბოყა, სორი (რაკაში), ხადა, ქურთაული, თაგაური, (მხარეები), ბერთუბანი (დავით გარეჯაში), ნაგები (იგივე რუსთავი), შუამთა (კახეთში), ქანდა, ალსუ, მულამი (ახერბაიჯანის ტერიტორიაზე), ბორანდი (დაღესტანის ტერიტორიაზე), ნარდევან, აშუს, ტერმურლუ, ფეგობხანა (თურქეთის ტერიტორიაზე) და სხვა.

კიდევ შეიძლება იყოს სხვა შენიშვნების გამოთქმა, მაგრამ ეს თვითმხანს არ წარმოადგენს. მთავარია კარტოგრაფიული ნაწარმოებების კოორდინატულმა თუ საზოგადო გამოცემულმა ყურად იღონ ეს, რომ იმ სახით, როგორც ისინი გვთავაზობენ რუკების დაბეჭდვას და მკითხველამდე მიტანას, არ შეიძლება. თუ XVIII საუკუნის დასაწყისში ვახუშტი ბაგრატიონმა იმ დროის მსოფლიო კარტოგრაფიის დონეზე შედგინა რუკები, დღეს ვერ უნდა მოგახერხოთ 300 წლის წინანდელ დონეზე გამოცემა მაინც?

კობა ხარაძე

P.S. ვახუშტი („საქართველოს რესპუბლიკა“, „წიგნის სამყარო“, „ახალგაზრდა ივერიელი“ და სხვ.) ამ დღებში აქრავდა შემოღობილი კარტოგრაფიული ნაწარმოებების შესახებ წერილებითა და რეკლამებით. სამწუხაროდ თვით ამ ვახუშტის გამართული სხვადასხვა ხასიათის უზუსტობანი; აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონს საქართველოს რუსული ატლასი არ შეუდგენია. არც ისაა სწორი, რომ თითქოს დღემდე არ გამოცემულია „ამ ატლასებში შესული არც ერთი რუკის ფოტოკოპია“. ამასთან, ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე მოთავსებული სიმბოლოები „საქართველოს სამეფო-სამთავროების სახელმწიფო დროშები“ კი არა, გერბებია. ასევე, რუკის ქვემოთ „ქართულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი რუკები, რომლებზეც ვახუშტის რუკის მონაცემებია“, არ გახლავთ თანამედროვე კარტოგრაფიულ საფუძველზე გაკეთებული. კიდევ სხვა უზუსტობანი შენიშვნები მცირე მოცულობის გამოქვეყნებულ წერილებსა თუ რეკლამებში, რაც უსათუოდ ზერელობის შედეგია.



საფლავების აღიარება ელასა სალომის დასაწყისიდან დასასრულამდე, საფლავების აღიარება ელასა სალომის დასაწყისიდან დასასრულამდე, საფლავების აღიარება ელასა სალომის დასაწყისიდან დასასრულამდე...

გის საფლავები. უნდა ითქვას, იმ პერიოდში ასტროლოგიას, როგორც მეცნიერებას, საკმაოდ სერიოზულად უყურებდნენ. მიშელის შეძლებული და გავლენიანი შრომები ცდილობდნენ, ყმაწვილს განათლება მიეღო. 1522 წელს მიშელმა დაამთავრა სასწავლებელი ავინიონში და შევიდა მონაქლოს უნივერსიტეტში. სამი წლის შემდეგ მან დაამთავრა უნივერსიტეტი, მიიღო ბაკალავრის ხარისხი და დამოუკიდებელი სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობის უფლება.

იმავ 1525 წელს ახალბედა ექიმს მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუხდა. მონაქლოს და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საშინელი შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა. იგი იმდენად გამძვინვარდა, რომ

ლი ექვის წელი მოგზაურობდა ლითონში, ნიდერლანდებსა და იტალიაში. საფრანგეთში ნოსტრადამუსი მხოლოდ 1544 წელს დაბრუნდა და დასახლდა პატარა ქალაქ სალონში. ბედისწერამ მიშელს მორიგი გამოცდა მოუშალა. იმ დროს საფრანგეთის ქალაქებში ისევ იფეთქა ჭირის ეპიდემიამ. ნოსტრადამუსი მაშინათვე ჩაერთო საქმეში. მის მიერ დამზადებული სამედიცინო საბუღალტრო აბემა ხალხი გადაარჩინა. პროვანსის მხარის პარლამენტმა შემდგომში მთელი სიცოცხლის მანძილზე სამუდამო პენსიით დააჯილდოვა იგი.

ექიდან მოყოლებული სიცოცხლის დასაბრუნებლად, ხანმოკლე პერიოდის გარდა, ნოსტრადამუსმა დიდების მწვერვალზე იცხოვე

„ცენტურიები?“ შეიძლება ითქვას, ყოველი დიდი ფენომენი, წინასწარმეტყველი იქნება ეს თუ ნათელმხილველი, ექსტრასენსი თუ ტელეკინეზის უნარის მქონე პიროვნება სხეულ-დიდებებს, პირველ რიგში, თანამედროვეთა და თანამოაზროვნეთა შორის იხვევს. ჯერ თავისიანებს, აღნიშნავს ლოკალურ ჯგუფს უმტკიცეს თავის სიძლიერეს და ფართო სარბიელზე მერე და გადის. ასე იყო ნოსტრადამუსთანაც. მის სიცოცხლეშივე აღიარებდა საფრანგეთის ელტარულ საზოგადოებაში წინ უსწრებდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური თუ გეოგრაფიული ზასიონის წინასწარმეტყველების, გეგმავთ, ნათელმხილვის გამართლება როგორც ცნობილი ფრაზა მკვლე-

კაბიტანი, ზ. ზ. ანსელმის გრაფმა პრავალზის კალაპუროს იოლოს მაიხც მილო გამოწვევა, მეფეს შეურთა და ზუბი ისე ძლიერად აძვერა, რომ ხელში ჩაიკაფა. მუხის წვერმა ჩაფხუტში გაატანა და მეფეს თვალი გამოთხარა. შეადგ დღეს ჰერბის მერე საშინელი წამებით გარდაიცვალა.“

როგორც ხედავთ, ყველაფერი ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების მიხედვით მოხდა, მაგრამ სკეპტიკოსები კარგა ხანს იყვნენ 35-ე კატრენის ამგვარი გამოფერის წინააღმდეგ, რადგან მათთვის გაუგებარი იყო სიტყვა „ლომის“ მნიშვნელობა. სულ ძალე ყველაფერი გაიკვია — თურმე იმ დღეს, როგორც იმხანად პარიზში მყოფმა და იმ ორთაბრძოლის თვითმხილველმა ტრასა ეპისკოპოსმა ოფიციალურად დადასტურა, მეფე ჰენრიმ მერეც და გრაფი მონტგომერიც „ლომის ფორმაში“ იყვნენ გამოწყობილნი.

მართალია, საფრანგეთის მართლმსაჯულება და ეკლესია დიდად არ სწყალობდნენ ნოსტრადამუსს, მაგრამ მისი საერთო-სახალხო აღიარების უამრავი უბატონოდ ხმის ამოღებას მაინც ვერ ბედავდნენ. ჟურნალი „ნაუკა ი რელიგიონი“ ცნობილი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ედუარდ ბერნონი წერდა, რომ ნოსტრადამუსის „ცენტურიები“ მშობრთ სხვა კვებების ელჩებიც კი დაინტერესდნენ. თავად სამეფო კარის მსახურთ კი სხვა საკითხი აწუხებდათ. კერძოდ, ჰენრიმ მეორის გაყის ფრანკისკო მეორის ჩანრთელობის მდგომარეობა. საქმე ის არის, რომ ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების მიხედვით სამეფო საგარეულოდან ორ ახალგაზრდას მოულოდნელი დაავადების გამოისობით ტრაგიკული ბედი ელოდათ. ამის თაობაზე ელჩი ნიკოლო ტრანაბუნი წერდა: „პერიკლი კოსიმო მედიის. მეფის ჩანრთელობის მდგომარეობა ქალიან გაურკვეველია. ნოსტრადამუსის თავის წინასწარმეტყველებებში ამ თვეზე ამბობს, რომ სამეფო სახლი დაკარგავს ორ ახალგაზრდას.“

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჰენრიმ მეორის პირველი ვაჟი ფრანკისკო მეორე (1559-1560 წ. წ.) გარდაიცვალა 1560 წლის 5 დეკემბერს, იმავე თვეში დაიღუპა ახალგაზრდა გრაფი რომსიურ-იონი. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები დღესაც ინახება. ეს ორი ფაქტი იმ ხანებში იმდენად გახმაურდა, რომ ესპანეთის ელჩის შატონესა და მეფის ფილიპე მეორეს შორის მიმოწერის საფარეოც კი გახდა.

სამწუხარო ის არის, რომ ესპანეთის ელჩი ნოსტრადამუსის დამატებების სურვილს უფრო გამოთქვამდა ასეთი ტრაგიკული „განახინის“ გამოქვეყნებისათვის. საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდა მეორე ელჩის სურათთან, ეკატრინე მედიის ნათესავს. ეტყობა, ელჩი შატონე პიროვნულად ვერ ჰყოფდა ნოსტრადამუსს, რადგან, როგორც ერთ-ერთი დღემდე შემონახული საბუთიდან ჩანს, იგი ორობითი მოიხსენიება ეკატრინე მედიის მიერ ნოსტრადამუსის მონახულებას, მისი 200 ეკაუთი დაჯილდოებასა და პორსკოპის შედგენის თხოვნას... მუხედველად ასეთი ყურადღებისა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ნოსტრადამუსის მიმართ არცთუ კეთილი განწყობილება სუფევდა. ამიტომ ცნობილი ფრაზა პიეტრო როსარო, რომელიც 1524-1584 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ცნობობდა ურწმუნოთათვის თვალები ახვილდა ნოსტრადამუსის სიძლიერე წარმოეჩინა. იმ ხანად, როსარო — ფრანგ პოეტის პრინციპად წოდებული, წერდა:

„მოკვდავთაგან -ის ერთადერთი მისწვლა ზეცას და იქიდან გავწყდის მომავლის საიდუმლოს.“

ნოსტრადამუსის მოწინააღმდეგენი საბოლოოდ „განაიარა“ მეფის კარლოს მეცხრის სტუმრობამ პროვანსში 1564 წელს. მეფემ მის საპატრიარქოულ სალონის კიშკართან შეკრებილ მოქალაქეებს განუცხადა, პროვანსში მხოლოდ ნოსტრადამუსის სანახავად ჩამოვედით.

შეიძლება ითქვას, იქიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე დიდი წინასწარმეტყველი ურწმუნოთაგან არავის შეუწყებია.

# ნოსტრადამუსი

## მხოლოდ „სურანგეთის პიროვნული წინასწარმეტყველი“ თუ?..

ხალხი უძველესი სიკვდილის შიშისაგან წინააღმდეგ იყვარდა სამოსს და მორჩილად ელოდებოდა აღსასრულს. ახალგაზრდა ექიმი ცდილობდა, არატრადიციული მეთოდებით ემკურნალა მოსახლეობისთვის. ის არ ეუბებოდა ეპიდემიას და გამუდმებით ხალხის გვერდით ტრიალებდა. ნაცვლად კლასიკური მედიცინის, იმ ხანად მიღებული მკურნალობის მეთოდებისა — სისხლის გამოღება, კლისტირება-ნოსტრადამუსი მიმართავდა მკურნალობის სხვადასხვა მეთოდს, პირველ რიგში კი — სამკურნალო მცენარეებს.

მისი მეთოდები არცთუ უმეტესად გამოიყენებოდა. ხალხში მიშელის ავტორიტეტი დიდი-დიდი იზრდებოდა. მალე ნოსტრადამუსმა დაიწყო პროვანსის (მხარე ზ. ზ.) სოფლებში სიარული. ხალხი მას ყველაგან სიყვარულით და მოწიწებით ხვდებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ნოსტრადამუსი მონაქლებში დაბრუნდა და უნივერსიტეტში პროფესორის წოდების მოსაპოვებელი გამოცდებისთვის თადარიგი დაიჭირა. მან წარმატებით დაძლია საგამოცდო სიძნელენი და გამოცდათა სერიის ფინალში აშკარად დაჯანა გამოცდილი ოპონენტები პროფესორები. დაარწმუნა ისინი თავისი სამკურნალო მეთოდების ეფექტურობაში.

ეს იყო 1529 წელს. მონაქლის უნივერსიტეტის პროფესორამ 26 წლის ექიმს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი უყურძნოდ უბოძა და ტრადიციისამებრ საზეიმოდ გადასცა დოქტორის ქული, ოქროს ბეჭედი და პიპოკრატის წიგნი.

ამის შემდეგ მიშელს გარანტირებული ჰქონდა საბატო ადგილი უნივერსიტეტში. მაგრამ მან იქ სულ რაღაც წელსწადი გაძლო. პრაქტიკა ირჩია.

1532 წლიდან მოყოლებული მთელი ორი წელი ახალგაზრდა დოქტორი მოგზაურობდა სამხრეთ საფრანგეთში, ეხმარებოდა ხალხს. მკვლევარი მაქსიმ გენინი შენიშნავს, რომ საფრანგეთის არცერთი მეფე, არც რომელიმე პრინცი ან გრაფი ასე საზეიმოდ არასოდეს მიუღიათ ფრანგ გლეხებს.

ნოსტრადამუსი დიდების მწვერვალზე იყო. იმ დროს მთელ საფრანგეთში მასზე პოპულარული პიროვნება იშვიათად გახლდათ. მალე ქალაქ ავანში ის დაემალა. შეეძინა ორი შვილი — ქალ-ვაჟი. ეს იყო 1535-36 წლებში, მაგრამ 1538 წელს ბედისწერამ არც ის დაიწყო — უცნობა დაავადებამ ერთბაშად გამოაცალა ზეღრიდან ცოლ-შვილი. ეს უმეტესად გახდა საფუძველი იმისათვის, რომ ბოროტი ენები ამოქმედებულიყვნენ და შეერყიათ მიშელის პოპულარობა. ამას დავმაჯ. ისიც, რომ ნოსტრადამუსის არაორდინალური სამედიცინო საქმიანობით და თავისუფალი ლექცი-საუბრებით ცხადი გახდა, რომ მას სამხრეთ საფრანგეთში არ დაედგომებოდა და ისევ მოგზაურობით უშველა თავს. მთე-

რა. მას სამედიცინო პრაქტიკა 1550 წლიდან ფაქტიურად შეეცვალა და დაიწყო თავისი ცნობილი ცენტურიების წერა. იმ ცენტურიებისა, რომლებიც ჩვენამდე მოაღწია და რომელთაც უდიდესი პოპულარობა მოუპოვეს მთ ავტორს.

საქცილისტები თვლიან, რომ ნოსტრადამუსი იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკურ მოვლენათა და სოციალურ კატასტროფათა წინასწარმეტყველი. ეს ფაქტი თავისთავად უფრო ზრდის მის პრესტიჟს, მის პოპულარობას, ხალხს უსევამს ნოსტრადამუსის სიძლიერეს, რადგან ერთია, როცა წინასწარმეტყველი იფარგლება ადამიანთა ვიწრო იფარგლებსა და იმდენად, მათი ბედით და მეორე, როცა საქმე ეხება დიდ პოლიტიკურ თუ სოციალურ მოვლენებს. სწორედ ეს არის იმ შეუძლებელი ინტერესის მიზეზი, რასაც ნოსტრადამუსის მიმართ იჩენენ მისი გარდაცვალებიდან მოყოლებული დღემდე.

მაინც რა იწინასწარმეტყველა ნოსტრადამუსმა და რა ფორმით მოაღწია მისმა თხზულებებმა ჩვენამდე?

ნოსტრადამუსმა პირველი წინასწარმეტყველება ხასიათის ნაწერები გამოაქვეყნა 1555 წელს. ეს იყო ე. წ. „ცენტურიები“. მასში გაერთიანდა 12 ცენტურია, რომელთაგან თითოეული შედგებოდა 100-100 ოთხსტრიქონიანი სალექსო ტაეპისაგან. (გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ მეშვიდე ცენტურია).

მანამდე ნოსტრადამუსმა გამოცვა ასტროლოგიური აღმანახის რამდენიმე ნომერი. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა ნომერმა. იგი დათარიღებულია 1559 წლით და ამჟამად საფრანგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ინახება. სიმაროლე ითქვას, ამ ასტროლოგიურ აღმანახებს, მათში ასახული ლოკალური ყოფითი ამბების გამო, მიშელისთვის დიდი წარმატება არც მოუტანიათ. რაც შეეხება პოლიტიკური ხასიათის წინასწარმეტყველებებს, მას ნოსტრადამუსმა 1555 წლიდან მიმართა. სწორედ ამ წელს გამოიცა ლიონში მისი წინასწარმეტყველებათა სერიის პირველი შედეგი თავი. ფართო საზოგადოების ინტერესი ამ წიგნის მიმართ, როგორც თანამედროვენი შენიშნავენ, მართლაც რომ დიდი იყო. და ეს, ალბათ, იმართ, რომ საფრანგეთის ელიტაში უკვე იცოდა ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველური უნარის შესახებ. ეს ინტერესი მოკლე დროში თანდათან გასცდა საფრანგეთის ფარგლებს და მისი წიგნი საკმაოდ კარგად გაფორმებული გამოიცა პოლონდისა და ინგლისში. ბაგემ აქვე გიტყვი იმასაც, რომ მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე დაიბეჭდა ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებათა ასამდე გამოცემა.

საკითხავია, რომ არა ის უდიდესი უნარი პოლიტიკური თუ სოციალური კატაკლიზმების უსუსტი წინასწარმეტყველებისა, ასწულულების შემდეგაც კი, ვის უნდა გახსენებოდა ნოსტრადამუსი და მისი

საფლავების აღიარება ელასა სალომის დასაწყისიდან დასასრულამდე, საფლავების აღიარება ელასა სალომის დასაწყისიდან დასასრულამდე, საფლავების აღიარება ელასა სალომის დასაწყისიდან დასასრულამდე...

მართალია, დიქტორი ბენუა არ მიუთითებს, თუ რატომ გახდა საჭირო ეპიტაფიაში შთამომავლობისათვის გამაფრთხილებელი სიტყვებით მიმართვა, მაგრამ უნდა ვფარაუდოთ, რომ მან და მისმა მეგობრებმა იცოდნენ მიშელის წინასწარმეტყველება მისი საფლავის შეურაცხყოფის შესახებ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ნოსტრადამუსის ეს წინასწარმეტყველება ახდა 225 წლის შემდეგ...

1791 წელს, როგორც პროფესორი ი. ისაევი წერს, რევოლუციის გუარდნილებმა (იგულისხმება საფრანგეთის პირველი რევოლუცია, ზ. ზ.). საფრანგეთის ერთ-ერთი მონასტრის კოშკიდან ამოთხარეს ნოსტრადამუსის ძვლები და მინდვრად მიმოფანტეს. მალე ყველა მათგანი დაიღუპა, ხოლო ნოსტრადამუსის ძვლები სალონში, წმინდა ლავრენტის ეკლესიაში დაიმარხა.

ვინ იყო ნოსტრადამუსი? რატორია მისი ბიოგრაფია? დღეს ეს კითხვები ბევრს აინტერესებს. მიშელ ნოსტრადამუსი დაიბადა ებრაელთა ოჯახში 1503 წლის 14 დეკემბერს ქალაქ სან-რემში. იგი ბავშვობიდანვე ეუფლებოდა მათემატიკას, ლათინურს, ბერძნულს, ძველ ებრაულს. ბიძამ, ქალაქში საკმაოდ ცნობილმა პიროვნებამ გააცნო მას ასტროლო-

სპორტი



... ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა, თავის დროზე საქართველოში ერთ-ერთმა უძლიერესმა „ხელის გადაწვევმა“ გურამ საღარაძემ ასევე სახელოვან ქართველ წყალბურთელთან, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის ერთ-ერთ დამაარსებელთან, ოთარ შიშინოვიძესთან საუბარში აღნიშნა, ზაურ ცხადაძე ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი ვერასოდეს ვერ გახდებოდა, ხელის გადაწვევაში კი თავისუფლად შეუძლიაო. და აი, 1991 წელს 4 ნოემბერს, ისრაელში, ცხადაძე მართლაც გახდა მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში და თანაც ისე, რომ მეტოქეთაგან წინააღმდეგობა ვერაფერს გაუწვია. თუმცა, ჯობია, ყველაფერს თანმიმდევრებით მივყვეთ.

თავდაპირველად მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების არავითარი შანსი არ გვქონდა — თავად მოგვხსენებდათ, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული ასეთი მრავალრიცხოვანი გუნდის უცხოეთში წაყვანა. მაგრამ, რაღაც არ უნდა დაგვჯდომოდა, უნდა გამგზავრებულიყავით. ჯერ ერთი, თუ მსოფლიო ჩემპიონატზე არ ჩავიდოდით, ფედერაციიდან ავტომატურად ვირიცხებოდით, და მეორეც, გვერთმეოდა 1993 წელს თბილისში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლება. ასევე, მე და ირაკლი შაიშვილაშვილს (საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის გენერალურ მდივანს და მთავარ მსაჯეს) გვერთმეოდა მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯობის უფლება, და, რაც მთავარია, ამ ჩემპიონატზე პირველად ქართული სპორტის ისტორიაში საქართველოს ეროვნული ნაკრების სახელით მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლებისთვის უნდა გვებრძოლა. მაგრამ, საქართველოში კეთილ აღამიანებს რა გამოლევს და მათი დახმარებით მოგვხდით კიდევ ისრაელში.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ისრაელში გახლდათ ბატონი თამაზ დაუშვილი, რომელმაც ჩვენთან ერთად ყველაფერი იღონა სანუკვარი მიზნის მისაღწევად. გუნდს ახლდა, აგრეთვე, საქართველოს „მაკაბის“ პრეზიდენტი მიხეილ გუნდივეი, რომელმაც ისრაელის გამგზავრებაში დიდი დახმარება აღმოგვიჩინა. ჩემპიონატი კი ტარდებოდა ლამაზ საკურორტო ქალაქენტანიაში. და მიუხედავად იმისა, რომ კარგად მოვეწყვეთ, მთავარი განსაცდელი წინ გვქონდა. ძალზე შეუძლოდ გახდა საქართველოს ნაკრების ლიდერი და ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი ზაურ ცხადაძე... იმედად ის რჩებოდა, რომ მას ბოლო დღეს უნდა ეასპარეხა.

მსოფლიო ჩემპიონატის სახელოვანი გახსნაზე უნგრეთის ნაკრებთან ერთად ჩვენი მოგვილოცეს ვაფის (მკლავჭიდის საერთაშორისო ფედერაცია) წევრობა. აღსანიშნავია, რომ ამ ჩემპიონატზე სპორტსმენები ჯდომელა უნდა შერკინებოდნენ ერთმანეთს.

შეჯიბრების მთავარ მსაჯად დანიშნეს ამერიკელი ქალი, დიბა ქალი, რაც სპორტის ამ სახეობაში უპრეცედენტო შემთხვევაა. თანაც, ეს ქალი ციხის მეთვალყურეს უფრო ჰგავდა, ვიდრე მსაჯს... საერთოდ, თითქოსდა, ისეთი მითითება იყო, ქართველებს ძლიერი გუნდი ჰყავთ და ეს გუნდი, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეთ, მედლებისათვის ბრძოლას უნდა ჩამოაშორეთ... ჩვენ ეს ახლა დანამდვილებით ვიცით. გაიჩინა ნამდვილი ნადირობა ქართველებზე და ყოველად უსიტყვილო მომხრობა ამერიკელებზე. მკლავჭიდში, ისე როგორც სპორტის არც ერთ სახეობაში, მსაჯმა, შეიძლება, უფრო ძლიერი სპორტსმენი დამარცხებამდე მიიყვანოს. ამისათვის რამდენიმე ხერხი არსებობს. ქართველებს გაუთავებელ შენიშვნებს აძლევდნენ, ყურადღებას აღუნებინებდნენ, უცბად სტარტს აძლევდნენ და, წარმოიდგინეთ, ხელს უბიძგებდნენ კიდევ მოწინააღმდეგის სასარგებლოდ. ამის გარდა, მოწინააღმდეგის დადებულ ხელზე ფიქსაციას არ აძლევდნენ. პირველ დღეს მე და ირაკლი ვმსაჯობდით და გუნდთან არ ვიყავით, ეს კი დიდი შეცდომა იყო — გუნდის საერთო სხეულს ნაწილი აკლდა. შემარჯვენებში 12 წონა იყო, შემარცხენებში 8. ჩვენ მხოლოდ შემარჯვენეთა გუნდი გვყავდა, სოფრომ სანთელაძე და კობა თოდაძე კი შემარცხენებშიც ჩაეწერნენ. 55 კგ-ში 42 წლის ნოდარ რეხვიაშვილი გამოვიდა. პირველ შეხვედრაში გამარჯვება მის მოწინააღმდეგეს მისცეს, მოკლედ, წააგებინეს ამერიკელთან, მეორე მოიგო, მესამე წააგო და ბრძოლას გამოეთიშა. კიდევ ვიმეორებ, ძალიან ძნელი იყო ჩვენთვის დამარცხება წესით ბრძოლა. 65 კგ-ში გიო გვიჩიანი ასპარეზობდა. გიამ შეჯიბრის წინ ფეხი იღრძო, წონა ვერ დაიკლო და 60 კგ-ს ნაცვლად 65 კგ-ში გამოვიდა. ამ წონაში მას არ ჰქონდა გამარჯვების შანსი. პირველი ბრძოლა მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან წააგო, მეორე მოიგო, მესამეში აშკარა მიეკრძობებოდა დამარცხება. იმის მიუხედავად, რომ მსაჯის ფორმა მეცვა, მთავარ მსაჯს მტკიცე პროტესტი განვუცხადე, თუმცა ამის უფლება, როგორც მსაჯს, არ ჰქონდა. მარცხენათი სოფრომ სანთელაძემ ბრწყინვალედ იასპარეზა — 8 ბრძოლა ისე მოიგო, რომ მეტოქეს არავითარი შანსი არ დაუტოვა. ფინალში რამდენიმე წუთი გააფთრებით ბრძოლა კანადის წარმომადგენელს და მხოლოდ გამოუცდელით დათმო შეხვედრა გამოცდილ შემარცხენე მსოფლიო ჩემპიონთან. შეგახსენებთ, რომ სანთელაძე, საერთოდ, შემარჯვენე ათლეტიცა.

კობა თოდაძე 90 კგ-ში შემარცხენებში იბრძოდა. თავის წონაში — 85 კგ-ში, კობა, არამარტო საქართველოს ნაკრებში, არამედ მთელს მსოფლიო მკლავჭიდში უნიჭიერეს სპორტსმენად ითვლება. იგი ახლახანს გახდა 18 წლის და ვარჯიშებზე მასთან ბრძოლა თვით ზაურ ცხადაძესაც უჭირს. მარცხენათი კობამ პირველად იასპარეზა და მრავალნაციად მსოფლიო ჩემპიონებთან ბრძოლაში მესამე საბრძოლო ადგილი დაიკავა, რაც ბრწყინვალე შედეგი გახლდათ. ვფიქრობ, მომავალში თუ კობამ სათანადოდ ივარჯიშა, მისგან ჯონ რიჩარდ ბრუნესის დარი მკლავჭიდელი დადგება. შესვენებაზე მთავარ მსაჯს განვუცხადე, რომ მსაჯობას თავს ვანებებდი, რომ გუნდთან უნდა ყოფილიყავი, საერთოდ, ამ ჩემპიონატზე მსაჯობის დონე ძალიან დაბალი იყო და ეს 40 ქვეყნის წარმომადგენლებმა შენიშნეს და აღნიშნეს კიდევ. 70 კგ-ში ევროპის ჩემპიონი ლერი სალიანი ტრაგეის შემდეგ საბოლოოდ ვერ მოუშუღა და მის მიერ დაკავებული მეხუთე ადგილი აშკარად არ შეეფერება მის მდიდარ შესაძლებლობებს.

გელა ბეწუაშვილის პირველ ბრძოლას ის ამერიკელი ქალი მსაჯობდა. მან მხოლოდ გელას გაუსწორა ხელი და მოულოდნელ სტარტთან ერთად ხელი ჰკრა კიდევ. გელა მანაც გამოფხიზლდა, როცა მისი მეტოქე ამერიკელი გამარჯვებულად გამოაცხადეს. მსაჯის მოქმედებამ მთელ დარბაზში მძაფრი აღშფოთება გამოიწვია, სცენაზე ავიარდ და მძაფრი პროტესტი განვუცხადე აშკარა მიეკრძობისათვის მსაჯს. ამის შემდეგ ფსიქოლოგიურად გატეხილმა გელა ბეწუაშვილმა მეორე ორთაბრძოლაც დათმო... ასე იყო თუ ისე, პირველი დღე ჩვენთვის სრული ფიასკოთი დამთავრდა. შემარცხენებში მოპოვებული ერთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მცირედ გვაშფიცებდა. მაგრამ მეორე დღეს, ჩვენ, თითქოსდა, სხვა აღამიანებად გავიღვიძეთ და ბიჭების დაკავება არაფერს

და არავის შეეძლო. თანაც, მეორე მთელ დღეს „ვაფის“ პრეზიდენტი ესწრებოდა და ამან ცოტა „დააშოშინა“ მთავარი მსაჯი. 80 კგ-ში ჯიმი მერაბიშვილმა მ ბრძოლა მოიგო ბრწყინვალედ. ფინალში კი შეხვედა მკლავჭიდის ცოცხალ ლეგენდას, მეტსახელად „კობრა“-ს, ამერიკის გუნდის შავკანიან ლიდერს. სრულყოფილი ტექნიკის მქონე ამერიკელ სუპერპროფესიონალთან დამუდარი წესით ბრძოლაში ჯიმის გამარჯვების ნაკლები შანსი ჰქონდა და ასეც მოხდა. შემდეგ წონაში კი კვლავ უსამართლობა გველოდა. კობა თოდაძემ პირველსავე შერკინებაში დაადებინა ხელი იტალიელ მსოფლიო ჩემპიონს, მთლად დაკუნთულ ათლეტს, მაგრამ მსაჯმა მანაც არ ჩაუთვალა მოგება. ამის შემდეგ მეორედ „მიალურსმა“ იტალიელის მარჯვენა, მაგრამ ამოოდ. გაკვირვებული კობა მსაჯს უყურებს, თან ხელი მოადუნა და იტალიელსაც მეტი რა უნდოდა... ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. არის ასეთი პროცედურა, ვიდევინების განმეორებითი ნახვა. ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებმა მიმართეს ვაფის პრეზიდენტს ფირის სანახავად, განსაკუთრებით კი ესპანელები აქტიურობდნენ. შემდეგ ვაფის პრეზიდენტმა პირად საუბარში მოთხრა, ვიცი, მართლმად ხართ, მაგრამ არ გინდათ დიდ ეკრანზე ფირის დემონსტრირება, ისედაც თავი შეიკავებინეს მსაჯებმარ. ფინალში გადასასვლელი ბრძოლაში თოდაძემ ისრაელის გუნდის წევრს ორჯერ სუფთად დაადებინა ხელი, მაგრამ კვლავ იგივე განმეორდა...

90 კგ-ში ერეკლე გურჩიანმა, რომ იტყვიან, პირდაპირ გაანადგურა მოწინააღმდეგეები. ნახევარფინალში და ფინალში ამერიკელს ადვილად სძლია და სპორტის ამ სახეობის ისტორიაში პირველმა ქართველმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ისე, ერეკლეს შემარცხენებში რომ ეასპარეზა, იქაც ჩემპიონი გახდებოდა და ეს ხდება მაშინ, როცა იგი მხოლოდ 10 თვეა ინტენსიურად ვარჯიშობს. ყოველთვის ეს ერეკლე გურჩიანმა განსაკუთრებული ფიზიკური შესაძლებლობების და დიდი მონდომების წყალობით შეძლო. 100 კგ-ში სოფრომ სანთელაძემ მედგად იბრძოლა, ნახევარფინალში ნორვეგიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გაანადგურა, ფინალში კი დამარცხდა ჯდომელა მკლავჭიდის აღიარებულ ლიდერთან, ისრაელის ნაკრების წევრთან, მსოფლიო ოთხჯგის ჩემპიონთან, შარონ რემესთან. რემესი ღირსეულად გახდა ჩემპიონი და საინტერესოა, ალბათ, რომ ჩემპიონატამდე მთვით ადრე იგი ნალმზე აფეთქდა და ცალი მხარი მთლად დაეწვა. 110 კგ-ში ლევი ალოუნაშვილმა შესაძლებლობის მაქსიმუმში გააკეთა. მეოთხედფინალში ევროპის ჩემპიონი მაგნუს სამუელსონი დამარცხდა ულამაზესი ილეთით, შემდეგ მძაფრ ბრძოლაში ამერიკელთან დამარცხდა და საბოლოოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. და აი, დადგა ზემომე წონის გამოსვლის დრო, ყველაზე პრესტიჟული და წარმომადგენლობითი წონითი კატეგორია, სადაც ზაურ ცხადაძე უნდა გამოსულიყო. ზაური თავის მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგა. მე პირველად ენახე აღამიანი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე ბრძოლების დროს ხუმრობდა და ოხუნჯობდა. ასეთი რამ მხოლოდ ლეგენდარულ მოკრივე მუჰამედ ალის შეეძლო. ზაურმა ინგლისელი, ამერიკელი, ბერძენი და კიდევ მრავალი სხვა ათლეტი დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. აქ მისი მოწინააღმდეგე იყო ისრაელის ნაკრების წევრი, წინა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორი, ქუთაისში დაბადებული 130 კგ-იანი გილიაიტი, ელი სეფიაშვილი. სეფიაშვილი დარწმუნებული იყო თავის საბოლოო გამარჯვებაში და, ცოტა არ იყოს, ტრაბახობდა კიდევ. მითხრა, გვარში ქალები სულ ქართველები გვყავდაო, ქართულს სუფთად ლაპარაკობდა, სულ ჩვენთან იყო და, თანაც ზაურს გარეგნობითაც ძალიან ჰგავდა. ზაურმა ნახევარფინალში მას ადვილად სძლია. ელი ასეთ ძალას და ტექნიკას არ ელოდა, თუმცა შემდეგ განვლო „დამამშვიდებელი“ წრე და ფინალში კვლავ ზაურს შეხვდა. ზაურმა ფინალშიც დამარცხებულად, ყოველგვარი პრობლემის გარეშე გაიმარჯვა და გახდა მსოფლიო ჩემპიონი ყველაზე პრესტიჟულ, ჩვენთვის საამაყო მძიმე წონაში. ზაურმა, როგორც ყოველთვის, საყოველთაო აღტაცება და ისევარული გამოიწვია მაყურებლებში. იგი ჩემპიონატის ნამდვილი გმირი იყო. შეიძლება მსოფლიო მკლავჭიდში მოიძებნება კიდევ ზაურზე უფრო ტექნიკური ათლეტები, მაგრამ, ვფიქრობ, ცხადაძე მსოფლიოში ყველაზე ღირსეული მკლავჭიდელია.

ვერავინ ვერ ფარავდა აღფრთოვანებას ჩვენი შედეგით. მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი გვილოცავდა. განსაკუთრებით ესპანელებს და ამერიკელებს უხაროდით ჩვენი გამარჯვება. დამჯდარი წესით ბრძოლაში, თან ამერიკელ პროფესიონალებთან: 2 ოქრო, 3 ვერცხლი, ერთი ბრინჯაო, ურიგო არ იყო. მრავალი ქართველი ებრაელი გვქმობდა, თანაც უფრო მხურვალედ, ვიდრე ისრაელის ნაკრების წევრებს, სადაც 4 ქართველი გამოვიდა. საერთოდ, ბრძოლა დამჯდარი წესით ვაფ-ს გადაწყვეტილი აქვს შემდეგში გააუქმოს.

საქართველოს ნაკრებს ისრაელში ახლდა მსახიობი, რეჟისორი და მკლავჭიდელი სოსო ჯაჭვლიანი. მას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა. 85 კგ-ში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, ტრაგემა მიიღო და ბრძოლა აღარ გააგრძელა. სამაგიეროდ, უნიკალური კადრები გადაიღო და ალბათ, მალე იხილავს კიდევ ქართველი გულშემატკივარი. ჩემპიონატის ორივე დღე ღირსეულად იმსაჯა ირაკლი შაიშვილაშვილმა და, მერწმუნეთ, ეს არცთუ იოლი საქმე გახლდათ.

ბოლოს, მაღლობა მინდა გადავუხადო მათ, ვინც დაგვეხმარა ამ დიდი წარმატების მიღწევაში: საქართველოს მინისტრთა კაბინეტს, პირადად, ბატონ ბესარიონ გუგუშვილს; სპორტისა და ტურისმის მინისტრს კახი ასათიანს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა ამ ჩემპიონატზე მოვხვედროლიყავით; ორგანიზაცია „ორბს“, რომელმაც 15 კაციანი გუნდის ხარჯები თავის თავზე აიღო; „ივერთანკს“ და სადაზღვევო კომპანია „გაგაზს“; აგრეთვე, ბატონ გივი მაისურაძეს, რომლის ძალისხმევით გარეშე საქართველოს მსოფლიო ჩემპიონები არ ეყოლებოდა, და რომელიც დროის სიმციროსა და ისრაელის საელჩოს წყალობით ვერ წამოგვეცვა.

თებერვლის ბოლოს კი ბარსელონაში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები კვლავ მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებს. 1993 წელს კი ევროპის ჩემპიონატი საქართველოში უნდა გაიმართოს...

სურათში: ზაურ ცხადაძე და ელი სეფიაშვილი

რედაქციისათვის: იმედია, საქართველოს სპორტული ჟურნალისტები გაითვალისწინებენ ქართველ მკლავჭიდელთა ამ ბოლოდროინდელ წარმატებებს და წლის საუკეთესო სპორტსმენის, გუნდისა და მწვრთნელის დასახელების დროს არ „დავიწყებენ“ მათ.

სპორტი

ამ თვის დასაწყისში ისრაელში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი მკლავჭიდში. ამ პრესტიჟულ ასპარეზობაზე ცალკე გუნდად ასპარეზობდა საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელმაც, ტრადიციისამებრ, კვლავ შე-სანიშნავი შედეგი აჩვენა და მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ მათი უკანასკნელი შედეგები შემთხვევითი არ ყოფილა. ამ საინტერესო შეჯიბრების შესახებ მოგვითხრობს საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ბატონი პასტანუ მუსხელიანი.

სპორტი



ბატონო ნოდარი

მომიტევოს თქვენმა სულმა, მარადიული სიმელოდროვე რომ და- გურდევინ!

ეს მე ვარ! თქვენი ზურვიკელა, სოსოია, თამაზი, თემური, გუ- რამი, ზაზა ნაკაშიძე, როსტომ ამი- ლახვარი, ბაჩანა რამიშვილი, ავთა- ნილი ჯაყელი!

აქვე არიან: დედაჩემი ანიკო, ოლღა ბეზია, ილიკო, ილარიონი, მერი, ცირა, გულიკო, ლია, მარი- ამი!

ახლაც ჩქეფს ჩემს ძარღვებ- ში ჭიჭიერადი ლომჯარისა, ლომკაც რამიშვილის, „უკვდავი“ მანველა ცინცაძის სისხლი და მოსვენებას არ მაძლევს!

დღესაც მარიგებს ჭკუას ჩემი ჟუკარაჩა, ვანიჩკა ბიძია, ლოთი დურსუნა.

ახლაც არ ვასვენებ ლამაზობ- ბით მამიდას ჩემი გაუთავებელი ლაპარაკით.

დღესაც ვცდილობ ჩემი ცხო- ვრების გზა დავინახო ხატისა უს- ინათლო, ლამაზ თვალეში!

ეს მე ვარ! თქვენი სისხლი და ზორცი, თქვენს მიერ დანთებული ცეცხლის ერთი ალი!

ეს მე ვარ! თქვენი ტანჯული გულის უკანასკნელი გატოკება და იცოდეთ, თქვენი გული დღეს ჩემს მკერდში ძვერს და თუ ოდესმე იგი შეწყვეტს ძვერას, გჯეროდეთ, ჩემს შვილში დანიდებს ახალ ბინას!

სამაჩბალოს მიწას რომ მილი- ციელი შეეწირა, თქვენი ჟუკარაჩა იყო იგი! რუსის ჯარისკაცები, რომ- ლეზმაც ქართველის მოკვლა არ ინდომეს, თქვენი შერბინა და პა- რხომენკო იყინენ, შენი „სოსო- იას რუსის“ შვილები!

დათიკოც და მანუჩარა კიკვი- ძეც თქვენი შვილები არიან, მაგ- რამ ნუ შეგაშინებთ მათი პარპაში, ისინი ვერასოდეს დაგვტყვევენ ობ- ლისთვის წართმეულ სიმინდს ბე-

მონატრება

ქიდე პრთხელ დაგვლოცათ, ბატონო ნოდარ!



გლარას წისქვილში, არც გლახუ- მა ჭერქაძის სისხლი მოასვენებს პათ ამქვეყნად!

ეს მე ვარ! თქვენი ქურთის ბი- ჭი აბო, თქვენი იანგული... და იცოდეთ, საქართველო ჩემი სამ-

შობლია და თუ მტერი გაბედავს მის ზეღში ჩაგდებას, დე, შე მომ- ხედეს პირველი ტყვია!

ეს მე ვარ! თქვენი დარდი და წუხილი — თქვენი შეცდენილი შვილი!

ო! როგორ მაკლია თქვენი თბილი სიტყვა, თქვენი ღიმილი! მივირს, ბატონო ნოდარ!

გვიჭირს ყველას! უჭირს საქარ- თველოს, თქვენს სათაყვანებელ ტაძარს, რომელიც, ვაი რომ, მხო- ლოდ სიმთვრალეში და მიტინგებ- ზე გვახსენდება! „მტრებიც“ უამ- რავი გაგზინებია, თურმე, შინაურიც და უცხოტომელიც, ნასწავლი და უსწავლეც, ჩინოსანი და უჩინო, დედა თუ მამა, ცოლი თუ ქმარი, და თუ ძმა!...

სიყვარული, მგვობრობა და ღიმილი, უბრალო ღიმილი დაგ- ვეიწყებია, გამწყდარა ჯაჭვი სიყე- თისა...

ღარ მოქმედებს მარადისობის კანონი!

თქვენი დღეს იმყოფებით „მარა- დიულ ფერთა სამეფოში“, დალოცეთ საქართველო! დალო- ცეთ თქვენი შვილები, დაგვლო- ცეთ ყველა, კიდევ ერთხელ გაგვა- გონეთ ოლღა ბეზიას სიტყვები:

„ღმერთო მაღალო, ღმერთო ძლი- ერო, დედაო ღვთისა, წმინდაო მარცამ, არ მოაკლო შენი წყალო- ზა ჩემს სისხლსა და ზორცს ზუ- რიკელას და მის ნაგრამს. შენ გა- უშმართე ჩელი ვასაქირში, შენ გა- უნათე უკუნი და მიეც დღეგრძე- ლი“...

ნათელში ამყოფოს ღმერთმა თქვენი სული, ბატონო ნოდარ!

ავთანდილ ხოფარია, თბილისის სახელმწიფო უნი- ვერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.



ახალგაზრდობა



ამ რამდენიმე ხნის წინათ თბი- ლისის მუსიკალურ ცენტრში ჩა- ტარდა საქტელურადიოს სიმფონი- ური ორკესტრის კონცერტი. სა- დირიჟორო პულტთან მოგვევლი- ნა დირიჟორი ზაზა აზმაიფარა- შვილი, ფორტეპიანოსთან კი — მოსკოვის კონსერვატორიის სტუ- დენტი ვიგლა ქაცარავა (პროფ. ლ. ნაუმოვის კლასი).

ბეთოვენის VII სიმფონია, ლი- სტის I საფორტეპიანო კონცერ- ტი და ვაგნერის ოპერა „მაისტერ- რინგერების“ უვერტურა — მსოფლიო სიმფონიურ და საფორ- ტეპიანო მუსიკის ამ სამი ლიდერ- ბული ნიმუშის ჰანგებმა გაიქლე- რა ამ კონცერტზე. ზაზა აზმაი- ფარაშვილის სასახლოდ უნდა ით- ქვას, რომ მან როგორც ბეთო- ვენის, ასევე ვაგნერის თხზულებ- ბაში მსმენელს შესთავაზა თავი- სებური, საკუთარი ინტერპრეტა- ცია.

წელს ახალგაზრდა დირიჟორი, საქართველოს კულტურის სამინი- სტროს რეკომენდაციით, ერთი წლით მიემგზავრება ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, რათა სტაჟი- რება გაიაროს მსოფლიოში ცნო- ბულ დირიჟორ კარლ ოსტერრაი- ხერთან. მსცოვანი მუსიკოსი ის მაესტროა, რომელთანაც მსოფ- ლოს ყველა კუთხიდან სისტემა- ტურად ჩადის და ოსტატობას იმალდებს მრავალი ახალგაზრდა დირიჟორი.

პიანისტი ვიგლა ქაცარავა, რომელმაც თავისი პირველდაწყე- ბითი მუსიკალური განათლება პროფესორ თენგიზ ამირჯიბთან მიიღო — თბილისის ზ. ფალიაშ- ვილის სახელობის საშუალო-სპე- ციალურ სამუსიკო სკოლაში, ამ- ციამდ ცოდნას იმალდებს მოსკო- ვის სახელმწიფო კონსერვატო- რიაში.

ახალგაზრდა მუსიკოსის მიერ იმ საღამოს შესრულებული ლის- ტის I საფორტეპიანო კონცერტი მსმენელთა გარკვეულმა წრემ სასიამოვნო მოულოდნელობად მი- იჩინა. მაგრამ ამ სტრატეგიის ავტორს აღრეც მოუხსენია ამ ნიჟიერი ახალგაზრდისათვის და შესრულების ბრწყინვალეობას, რომელიც მეტ-ნაკლებად გამოვლინდა დიდი უნარების მუსიკის ინტერ- პრეტაციაში, მიიჩნევს სოლისტის ყოველდღიური პიანისტური შრო- მის ლოგიკურ შედეგად. ეს აზ- რი დადასტურა ვიგლა ქაცარა- ვას მიერ „ბისზე“ შესრულებულ- ლმა რაზმანოვის „პრელუდის“ მაღალმა ოსტატობამ...

ალექსი ზანიქა

სურათი: დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი; პიანისტი ვიგ- ლა ქაცარავა.


სურათი

1991 წლის 23 ნოემბერს იხს- ნება საქველმოქმედო საზოგადოე- ბა „პერიტის“ (საინგილო) თაოს- ნობით დაწყებული 9 აპრილის ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის შემოხორბა და შედგება სოფლების: აობიგლოს—წმინდა ნინოს, შეშაბაშის—მთავარ ანგე- ლოსის რესტავრირებული ეკლე- სიების კურობები.

შემორილის გახსნა დაიწყება 12 საათზე კახის რაიონის სოფელ ილიბეგლოში.

ჩვენი

მილოცვა



ბატონო ჭაბუა

გაგვიჭირდა იმის დაჭერება, რომ თურმე 70 წლის შესრულდით. გა- გვიჭირდა იმიტომ, რომ, ცხოვრე- ბისეული ქართველების მიუხე- დავად, კვლავაც მხნედ და შემბარ- თულად გამოიყურებთ. რა გისუ- რეთი მწერალს, რომელსაც მოპო- ვებული აქვს მკითხველის საყო- ვველათო აღიარება და სიყვარუ- ლი? ალბათ, უპირველეს ყოვლი- სსა — ჯანმრთელობა და დღეგრ- ძელი სიცოცხლე, რომ მოესწროთ თქვენი საწუკარი მიზნების აღს- რულებას. ღმერთმა ნუ ქნას, რომ საქართველოში მართლაც დადგეს ისეთი პერიოდი, როცა წიგნები- სავან გაჩაღებული კოცონი მისტი- ური, ჯოჯოხეთური ალით გაანა- თებს ირგვლივ შემოჭარულთა სა- ხეებს. მაგრამ ესეც რომ მოხდეს, თქვენი ცხოვრების მთავარი წიგ- ნი მინც გადარჩება, რადგან იგი მარადიული სიკეთის მტკიცებაა, და სიკეთე, აღრე თუ გვიან, აუ- ცილებლად გაამარჯვებს.

ახალგაზრდა ივერიელი

მანადი სანაიას ფოტო.

პრაზიდიანი, ხალისუფლება და ოპოზიცია

(დასასრული)

იყოს ისეთი დემოკრატიული სა- ზოგადოებრივი ატმოსფერო, რომ ვერაინი გაბედოს თავისი საქცი- ელით მისი სახელის შელახვა. ამდენად, პრეზიდენტი თავად უნ- და იყოს მოსურნე, ჰყავდეს ჯან- სალი, კონსტრუქციული ოპოზი- ცია. მის მიერ კრიტიკული თვა- ლით დანახულს უნდა ანალიზებ- დეს, თუ სურს წინსვლა და პრო- გრესი. ოპოზიციამ მოუსყიდვე- ლი მაკონტროლებელი ორგანო ხომ არ არსებობს დედაში- წის ზურგზე. მსოფლიოს დემო- კრატიული ქვეყნები დიდი ხანია დაარწმუნდნენ სახელმწიფოსათვის ოპოზიციის სიკეთესა და აუცილე- ბლობაში და მას კანონით ხელ-

შემწყობი პირობები აქვს მინი- კებული, რომლის დარღვევაც არაიის ხელეწიება. ხოლო თავ- ვად პრეზიდენტი თუ არღვევს კანონს, ეს მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში უპატი- ვებელ დანაშაულად აღიქმება და იმპიჩმენტის წესით ამ უკანასკნე- ლის თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვება. პრეზიდენტის საქმი- ნობას აკონტროლებენ საკონსტი- ტუციო საბჭო ან სასამართლო, ხოლო პარლამენტში პრეზიდენ- ტის ყველა გადაწყვეტილება სა- გაროდ განიხილება და სათანადო შეფასების შემდეგ მტკიცდება. სამწუხაროდ, საქართველოში დე- მოკრატიის დამცველი ინსტიტუ- ტები შექმნილი და ამუშავებული არ არის, რაც ტოტალიტარულ-

ავტორიტარულ რეჟიმის ჩამოყა- ლიბებას უქმნის საფუძველს. დასასრულ, მოვიყვან ვიქტორ პიუგოს სიტყვებს: „უფრთხილი ხალხს, რომლებიც გეთანხმებიან, შესაძლოა ისინი ყველაფერზე დაგეთანხმონ“. ეს აზრიც ოპოზი- ციის სასარგებლოდ მერყეულებს. ყველაფერზე დათანხმება უკვე იყო და მას უბედურების მეტი არაფერი მოუტანია. მომხრენი ვიყოთ დავისა და თუნდაც მწვა- ვე კამათისა, მით უმეტეს, საქე- რთველის წინაშე უამრავი საქე- რბოროტო პრობლემა, რომელ- თაც გამოწველილით განსჯა და განხილვა სჭირდება. ხომ ცნობი- ლია, ჭეშმარიტება კამათში იბა- დება.

გიგა თვალავაძე

„მე მიყვარხართ, მიყვარხართ რადგან მიყვარს ღმერთი და ღმე- რთმა თქვენთან ერთად მარგუნა სიცოცხლე დედამიწაზე. თქვენდა- მი ჩემი სიყვარული ვცდილობ გამოვხატო მითხრობებით, ეს უღე- ქსებიც სიყვარულის დასტურად ჩამითვალეთ“ — ეს სიტყვები წა- რუქმდვარა გოდერძი ჩოხელმა თავის ახალ წიგნს „შემინახე, დე- დო მიწა“!

სა და იშვიათი ოსტატობის მქო- ნე ხელოვანი ვახლდათ. კეთილი სიტყვის თქმას ამ ახალგაზრდა, ჭეშმარიტად უბაღ- ლო ნიჭის მქონე შემოქმედზე, ვინ ვინ და „ახალგაზრდა ივე- რიელები“ ნამდვილად არ დანა- რებდნენ, მაგრამ მოდი, ეს უკე- თისი მომავლისათვის გადავლოთ (მით უფრო, რომ ჩვენს რედაქ- ციაში დღესდღეობით შექმნილი სიტუაცია და რედაქციის გა- ნწყობაც რამდენადმე განაპირო- ბებს ამას). მივთვლით, კი გაუ- წყებთ, რომ მაღე კინორეჟისო- რისა და მწერლის გოდერძი ჩოხე- ლის ახალი წიგნი „შემინახე, დედაო მიწაში“ რომელშიც შე- სულია მითხრობები, ლექსები და მინიატურები, შეგიძლიათ შეიძი- ნოთ რუსთაველის პროზაექტზე მდებარე მალაზია „მერაზში“.

გამოიწერეთ ახალი გაზეთი „კახეთი“

მიმდინარეობს ხელმოწერა სრუ- ლიად საქართველოს საზოგადოე- ბა „კახეთი“-ს გაზეთზე — „კა- ხეთი“. იგი გამოდის თვეში ერ- თხელ, 8 გვერდზე. გაზეთი დიდ დახმარებას გააწევთ პოლიტიკუ- რი, ეკონომიკური და სოციალუ- რი საკითხების განცხობაში, თა- ნამედროვე ბიზნესის, კომერციუ- ლი საქმიანობის შესწავლაში, სა-

ზღვარგარეთის და სამამულო მე- ცნიერების და ტექნიკის მიღწე- ვების ათვისებაში. გაზეთი ყოველმხრივ შეუწყ- ყობს ხელს ქართული ძირძველი ტრადიციების, ფოლკლორისა და ხალხური შემოქმედების შესწავ- ლის, აღდგენის და პოპულარიზა- ციის საქმეს; სისტემატურად მო- გაწვდით სოფლის მეურნეობის ახ-



ლებურად გაძლიოს, მიწის რე- ფორმის რეალიზაციის, ფერმერუ- ლი მეურნეობების შექმნის მეც- ნიურულ რეკომენდაციებს, გაა- შეუქმნოს სახალხო და თანამედრო- ვე მედიცინის მიღწევებს, კულ- ტურის, ფიზკულტურის და სპორ- ტის საკითხებს. ერთი წლით გაზეთის ხელმოწე- რის ფასია 6 მანეთი. გაზეთის ინდექსია: 66608.

საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი

## გთავაზობთ

- წიგნებისა და ჟურნალების —
- გაზეთებისა და ბროშურების —
- რეკლამებისა და ბლანკების —
- აფიშებისა და ეტიკეტების —
- სავიზიტო ბარათების —

აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

## ჩვენი სახით თქვენ შეიძენთ საიმედო პარტნიორს!

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის 130, ტელ: 35-26-44; 34-05-14.

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საინჟინრო ტექნოლოგიური საწარმოო ფირმა „ლიკანი“

გთავაზობთ ნებისმიერი მარკის საზღვარგარეთული წარმოების ავტომანქანებს, როგორც ნახმარებს ასევე ახლებს დამკვეთის სურვილისამებრ, აგრეთვე ამ მანქანების ნებისმიერ სათადარიგო ნაწილებს. გადახდა ვალუტით.

ასლების გადასაღებ მანქანას „რენკ ქსეროქს“ 5028 გადახდა მანეთებით.

მისამართი: იოანე პეტრიწის ქ. №27  
ტელ. 99-56-81

ღრძილების დაავადება გაწუხებთ? შეგიძლიათ მიმართოთ ღრძილების დაავადების სამკურნალო სტომოტოლოგიურ ფირმა „ფიკოს“.

მკურნალობას ჩაგიტარებთ რესპუბლიკის წამყვანი ექიმი პარადენტოლოგები მედიცინის უახლოესი მეთოდებით. აქვე შეგიძლიათ იმკურნალოთ კბილებზე, ჩაიტაროთ პროტეზირება.

პაციენტთა მიღება წარმოებს მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ტელ. 31-01-50

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი 77 (ძეგლთან) I საღარბაზო, მე-6 სართული.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ექიმი დერმატოლოგი ნანა თურმანიძე თავისი მალამოებით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს:

დამწვრობებს, ჭრილობებს, ნაწილებს, ბუხილს, კანის ჩირქოვან დაავადებებს (მასტიტებს, დაჩირქებულ ნაწილებს), კანის დაავადებებს. სხვადასხვა სახის გამონაყარს კანზე, ალერგიულ დერმატიტებს, ეგზემას, თმის ცვენას და სხვა).

მიღება „ფანასკერტელში“ — დავით აღმაშენებლის 115, ოთახი 12. ყოველდღე 3-დან 5 სთ-მდე. გარდა კვირისა. სახლის ტელ. 37-36-44

## იხილეთ პიანინო „შპრაინა“

მისამართი: ბუდაპეშტის ქ. №1  
ფირმა „შპრაინა“  
11-დან 12 საათამდე.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## უცხო ენების შესწავლის მსურველთა საპურადღებო!

გთავაზობთ უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებს ფსიქოლოგთა დახმარებით:

### ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური.

მეცადინეობას, რომლის ვადაა 3 და 6 თვე წაუძღვებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. სწავლა იწყება 25 ნოემბრიდან. მსურველებს ვთხოვთ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართონ 25 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის გამზ. (ყოფ. პავლოვის ქუჩა) №39, 60-ე საშ. სკოლა. ტელ.: 39-21-78

1991 წლის 1 ოქტომბრიდან ენგურძესის ჭვარის დამხმარე საწარმოთა სამმართველო დაიკვირებულია ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პრეტენზიები შეიძლება წარმოდგინილი იქნას გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.  
სამმართველოს ადმინისტრაცია.

## 3030ლი 2-3-ან 4-ოთახიან ბინას ქ.მოსკოვის ცენტრში ან ახლომდებარე რაიონებში.

ტელ.: 275-43-05  
იკითხეთ თქვენი

## სოფლის მეურნეობის უწყის საპურადღებო

იუდება დიდი რაოდენობით უმაღლესი ხარისხის ტორფი და ტორფის ქოთნები, რომელიც წარმატებით გამოიყენება, როგორც სანერგე, ასევე სასათბურე მეურნეობაში. ტორფის შექმნა შეიძლება როგორც ნაღდ ფულზე, ასევე გადარიცხვით. ნედლეული გაიყიდება მხოლოდ იმ პირობებში ან ორგანიზაციებზე, რომლებსაც აქვთ სურვილი შეიძინონ ტორფი დიდი რაოდენობით (მინიმუმ 1000 ორკილოგრამიანი პაკეტი.)

მოგვმართეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1  
ტელეფონი: 37-58-25  
ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“


მც. საწარმო „თერგი“ აწარმოებს ბინების, გარაჟების, აგარაკების მშენებლობას, სანტექნიკურ სამუშაოებს, ლითონკონსტრუქციებს (შეს. კარებები, ჭიშკრები, ღობეები) შპალერის საბეჭდ-ნახატ ლილვებს.

ჩვენი მისამართია: სადგური ლილო. ტელ. 41-04-15 (საღამოს 6 სთ-დან 9 საათამდე).

ფირმა „სერვის ბიურო“ იწვევს ბავშვების, მოზარდების, ავადმყოფების ბინაზე მომწოდებელ ქალებს. მუშაობა შეუძლიათ პენსიონერებს 60 წლის ასაკამდე, ანაზღაურება თვეში 500-დან 1000 მანეთამდე.

მუშაობა ითვლება შრომის უწყვეტ სტატუსად. მისამართი: ლერმონტოვის ქ. №19 (თავისუფლების მოედნიდან). ტელ. 93-20-76  
სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ფირმა სერვის — ბიურო გთავაზობთ საშუალო დახმარებას:  
1. ბინების ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ქირაობა-გაქირავება, დაქირავება.  
2. ავეჯის ყიდვა-გაყიდვა მიმართეთ ფირმის წარმომადგენლობას მისამართზე: თბილისი, ლერმონტოვის ქ.19 (თავისუფლების მოედნიდან) 10-დან 6 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა ტელ. 93-20-76.



სამშენებლო ორგანიზაციების საყურადღებო! მცირე საწარმო „პონსტრუქტორი“ გთავაზობთ ბლოკების დამამუშავებელ ვებროდანადგარს. წარმოება—300 ცალმდე სათბ. ბლოკის (390X200X175) და-სამშენებლად აღნიშნულ დანადგარში შეიძლება გამოყენებულ იქნას წილის, პემზის, ღორღის ან სხვა ცემენტოვანი ნარევი. ტელ.: თბილისი 51-75-09 (18.00-21.00 სთ.)  
სოხუმი 4-27-92 (ეშპან ქ.№128).

ფირმა „არიადნა“-სთან არსებული საქართველოს რეგიონალური სააგენტო აგრძელებს თამაშ „არიადნას ძა-შაბის“ აქციების გასაღება-გავრცელებას. თამაშში არ არის კონკურენტები და მომგებიანია თითოეული მონაწილისათვის. შესატანი თანხის ოდენობაა 250 მანეთი. თამაშის შეწყვეტისას ხელზე გაიცემა გაუსაღებელი აქციები, რომელთა სერიისა და ნომერის მიხედვით გაიმართება ფულისა და ნივთების მოგებათა ტირაჟი. გათამაშდება იმპორტული წარმოების ავტომობილები, ტელევიზორები, ვიდეო, აუდიო და კომპიუტერული ტექნიკა. საქართველოს რეგიონალური სააგენტოს მისამართია: ქ.თბილისი, ასათიანის ქუჩა 12.

**ხალგაზრდა ქართველი**  
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81;  
პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56;  
წერილების განყოფილება — 98-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში ხუთჯერ სამუშაოს, სათაბათს. შაბათს. რედაქციაში შემოსული მხახვები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამოცემლობა „სამშობლოს“ ხტამა თბილისი, შ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სააგენტო კორპუსში ბოშაძის 29.  
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი  
ვირაპ გალარჯიანი

რედაქციის მისამართია  
ქ. თბილისი — 380096  
მ. კოსტავას ქ. № 14.